გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 90
(11 956)

18 – 21 ნოემბერი, 2005 წ.
ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნომერშია:

- სტალინი ვერ გამოზარდეთ?
- ვერისბაღელის მოგონებები
- ქართული ფეხბურთის ამბები
- ყველა ფინალისტი ცნობილია
- ჩხუბი... პოდიუმზე
- შეტევა „კოკა-კოლაზე"
- მრბოლს მართვის მოწმობა ჩამოართვეს
- საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი

ახალგაზრდების ტურნირი სტამბულში

სტამბულიდან დაბრუნდა თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში იქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში მონაწილე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდები. ორივე სახეობაში 12 ქვეყნიდან ტურნირში 250-მდე ახალგაზრდამ იასპარეზა.

განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა ჩვენი „თავისუფლების" (მწვრთნელები **ნუგზარ სხირელი** და **ჯონი ლორია**) გამოსვლა ტურნირში ხუთმა სპორტსმენმა პირველობა მოიპოვა. ესენია: თბილისელები **ლევან მეტრეველი** (50 კგ), **ნიკოლოზ გაგნიძე** (84) და **დათო მოძმანაშვილი** (96), **მალხაზ ზარქუა** (60; აფხაზეთი) და ვალერი დვალიშვილი (55; გორი); მესამე პრიზიორები გახდნენ მალხაზ ზარქუას ტყუპისცალი **მიხეილ ზარქუა** (66), გორელები — **ნიკო ტლაშაძე** (74), **არჩილ ბარამიძე** (84), **ზაალ მარტიაშვილი** (96); გუნდურ ჩათვლაში ჩვენები მეორე ადგილზე გავიდნენ მასპინძლების შემდეგ, მესამე პრიზიორები ირანელები გახდნენ.

შედარებით მოკრძალებული შედეგებია ბერძნულ-რომაულში (მწვრთნელი **ვლადიმერ ადეიშვილი**). აქ პირველობა მოიპოვა ოზურგეთელმა **კახა მექვაბიშვილმა** (60), მეორე პრიზიორი გახდა **დათო ქარჩავა** (84; აფხაზეთი), მესამე — თბილისელი **ილია გულბათაშვილი** (66) და ბათუმელი ზაზა შავაძე (74). გუნდური: 1. ირანი, 2. თურქეთი, 3. აზერბაიჯანი, 4. **საქართველო**.

„თუ გავითვალისწინებთ, რომ ტურნირში მონაწილეობდნენ ჭეშმარიტად საფალავნო ქვეყნები, საქართველოს მოჭიდავეთა შედეგები ურიგო ნამდვილად არ არის, კვლავ ვრჩებით მოწინავეთა რიგებში, რაც, რაღა თქმა უნდა, სამომავლოდ მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებს" — გვითხრა თურქეთის ტურნირში საქართველოს მოჭიდავეთა დელეგაციის ხელმძღვანელმა, ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ომზარ შოშიტაშვილმა**.

წასვლა თუ წინსვლა, ბატონო გაიოზ!

რედაქციაში აღშფოთებული რეკავს ფეხბურთის გულშემატკივარი. ნახეთ, სადამდე მიდის გაიოზ დარსაძის ცინიზმი? აიღეთ გაზეთი (გაზეთის სახელი დაგვისახელა) და ნახეთ ბოლო აბზაცი. ავიღეთ, ვნახეთ და წავიკითხეთ: „წასვლა? ეს ყველაზე ადვილია. ამისთვის ნაკრებში დანიშვნის დღიდან მზად ვარ" — ამბობს ჩვენი ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

მერე და რა არის ამ ტექსტში უცნაური? თურმე იმ გულშემატკივარს, მისდაუნებურად, სიტყვა „წასვლა" ამოუკითხია, როგორც „წინსვლა" და ამას გაუღიზიანებია.

„წასვლა" და „წინსვლა" მართლაც საოცრად ჰგავს ერთმანეთს ხმოვანებით და ფორმით, თორემ შინაარსით, სად ერთი და სად მეორე...

წასვლა, მართლა ყველაზე ადვილია, წინსვლაა ძნელი. წინსვლა მსხვერპლს მოითხოვს, წასვლაც შეწირვაა, მაგრამ გააჩნია, როგორ მიდიხარ, ღირსეულად თუ...

საქართველოს ეროვნული ნაკრების პრობლემები მემკვიდრეობით გადადის, როგორც მწვრთნელებში, ისე ფედერაციის ხელმძღვანელებში. რა თქმა უნდა, გულშემატკივარი დაიღალა ამდენი ლოდინით და იმედგაცრუებით, ფუჭი ოცნებით, დაპირებებით. ახლა ახალი იმედების და დაპირებების დრო დადგა. მსხვერპლად შეწირული ნაკრების მწვრთნელების ყველა ცოდვა და, საერთოდ, ქართული ფეხბურთის ბოლოდროინდელი ტრადიციული უნიათობა, დღევანდელ სინამდვილეში, სფფ-ს ამჟამინდელმა ხელმძღვანელებმა აიკიდეს საკუთარ მხრებზე. ისინი აცხადებენ, რომ ყველაფერი დაიწყო ნულოვანი წერტილიდან, მიმდინარეობს ახალი გუნდის მშენებლობა და ითხოვენ მოთმინებას... კიდევ ერთხელ. გულგატეხილი ფეხბურთის ქომაგებს კი მორიგ ექსპერიმენტად აღიქვამენ მიმდინარე პროცესებს და ნაკლებად სჯერათ პერსპექტივის. რა დასამალია, რომ მოვა თუ არა ნაკრებში ახალი თავკაცი, მისგან დაუყოვნებლივ მოელიან სასწაულს. იმდენი ჩინებული ფეხბურთელის ფონზე, რაც ჩვენ გვყავს, ამგვარი პრეტენზია თითქოს ბუნებრივია. მაგრამ ბოლომდე სრულყოფილად, მაინც არაფერი გამოდის — არის ცალკეული შემსრულებლები, არ არის ერთიანი, მიზანსწრაფული, თავდადებული გუნდი. ეს უკვე სხვაა. თითოეული ფეხბურთელის პატრიოტიზმი (ოსტატობაზე არაფერს ვამბობთ, ამის დეფიციტი ნამდვილად არ არის), ვერ იქცა გუნდურ პატრიოტიზმად. როგორც ჩანს, თვით ნაკრების შიდა პროცესებშია, რაღაც-რაღაცები დასალაგებელი, რასაც დრო სჭირდება.

დრო! აი, რა არის მთავარი, რასაც სფფ-ს ხელმძღვანელობა და გაიოზ დარსაძე ითხოვენ. ვადა კი თავიდანვეა გაცხადებული.

გაიოზ დარსაძის კანდიდატურა თავზე ძალით არავის მოუხვევია ნაკრებისთვის. იყო განსჯა, ბოლოს და ბოლოს, სფფ-ს აღმასკომმაც თითქმის ერთხმად მასზე შეაჩერა არჩევანი.

დიახ, წასვლა ადვილია, მაგრამ არის კი ეს გამოსავალი? ვინ იძლევა გარანტიას, რომ ყველაფერი, თანაც რადიკალურად, უკეთესობისკენ შეიცვლება? ალბათ, როგორც აქამდე ყოფილა, გულს მოვიოხებთ და ყველაფერი ამით დამთავრდება. დამთავრდება ისე, როგორც ადრე დამთავრებულა.

ბევრს მოსწონს სფფ-ს თავკაცის და ნაკრების მთავარი მწვრთნელის კატეგორიული პოზიცია და პრინციპულობა, ბევრს — არა! უჩვეულო ამაში არაფერია. მთავარია, გადაილახოს რუბიკონი.

ასე რომ, წასვლა ადვილია, წინსვლაა ძნელი!

მიმომხილველი

დაღესტნის პრეზიდენტმა ასე მოისურვა...

სულაც არაფერია იმაში დასაძრახი, როცა პრეზიდენტი, დიდი ქვეყნის იქნება ის თუ პატარის, თუნდაც ავტონომიის, სპორტის ამა თუ იმ სახეობაში ატარებს ტურნირს თავისი სახელობის თასზე, მეტიც, შეჯიბრებას ნიშნავს თავის მშობლიურ ქალაქში ან სოფელში. დაე, გაიგოს ქვეყანამ, მთავარია, სპორტმა და მეგობრობამ იზეიმოს. არა, ამჯერად დაღესტნის პრეზიდენტს თავისი სახელობის ჯილდო არ დაუწესებია. პრიზს „კავკასიის თასი" დაარქვა და შეჯიბრება არა მახაჭყალაში, არამედ რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ დაბა ლევაშში ბრძანა.

თავისუფალ ჭიდაობაში, დაღესტნის მეთაურის თაოსნობით გამართულ ამ პირველ საერთაშორისო ტურნირში, სულ ხუთი ქვეყანა: აშშ, ბელარუსი, საქართველო, აზერბაიჯანი და რუსეთი (მასპინძელთა გუნდით) მონაწილეობდა. საპრიზო ფონდი სოლიდური იყო — 90 ათასი აშშ დოლარი. საქართველოს ნაკრები მეზობლებთან შესუსტებული შემადგენლობით გაემგზავრა (თუ რატომ, „ლელოს" 88-ე ნომერში ვწერდით).

პირველი შეხვედრა ქართველებმა ბელარუსებს მოუგეს 6:1, მასპინძლებთან კი 5:2 დამარცხდნენ, მერე ისევ მოიგეს, ამჯერად აზერბაიჯანელებთან 7:0 და მესამე ადგილზე გავიდნენ.

დიმიტრი დუნდუას ახალი თაოსნობა

„ქართული ხალხური თამაშობებისა და სპორტის ეროვნულ სახეობათა ასოციაცია" გიხმობთ!

სპორტის ეროვნულ სახეობებს და ხალხურ თამაშობებს ჰყავს და არც ჰყავს პატრონი. ადრე ტარდებოდა სხვადასხვა შეჯიბრებები ეროვნულ სახეობებში, ხალხური თამაშობები კი სავალდებულოდ

იხ. მე-2 გვ.

ბესიკ ლიპარტელიანი ისევ პრეზიდენტია

მითქმა-მოთქმას წერტილი დაესვა. ნდობა და ხელისუფლება იმან დაიმსახურა, ვინც საქმით დაამტკიცა თავისი უპირატესობა. ეს კი საქართველოს საკალათბურთო სამყაროში კარგად ცნობილი ჯერ კალათბურთელი, ხოლო შემდეგ მწვრთნელი და ფუნქციონერი ბესიკ ლიპარტელიანია — კაცი, რომელმაც ყველგან დატოვა შთამბეჭდავი კვალი, სადაც კი ნიჭისა და უნარის გამოვლენის საშუალება მიეცა. ბოლო ოთხი წელიწადი ბესიკ ლიპარტელიანი კალათბურთის ფედერაციას ედგა სათავეში და დღეს თუ ერთი-ორი ეროვნული ფედერაცია წარმატებულად იწოდება საქართველოში, ერთი მათგანი უდავოდ ჩვენი კალათბურთის ფედერაციაა. აი, სად მოხდა ჭეშმარიტად რევოლუციური (კარგი გაგებით) ცვლილებები. ამიტომ იყო, თავიდან აგორებული ჭორები ფედერაციის შესაძლო კანდიდატებზე ბოლოს ისე ჩაცხრა და გაილია, ერთიც აღარ დარჩა მეტოქეობის მსურველი. თავმოყვარე ხალხი ვართ ქართველები. ისიც ვიცით, ოღონდ, ხანდახან, ვინ ვინ არის და თავად რას წარმოადგენს. ამჯერად სწორედ ასეთმა გამონაკლისმა იზეიმა. ბესიკ ლიპარტელიანი კვლავ, უკვე მეორე ვადით აირჩიეს საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტად. აირჩიეს და არც შემცდარან. არ შემცდარან იმიტომ, რომ უკვე ჩინებულად იცოდა ყველამ, ვინ უნდა აერჩია.

წარმატება ვუსურვოთ ქართულ კალათბურთს.

ფრენბურთელებს სანქცია მოუხსნეს

ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციიდან ჩვენ ეროვნულ ფედერაციაში მიღებული ინფორმაციით, სანქცია, რომელიც დაწესებული იყო ჩვენი ქალთა ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ ევროპის შესარჩევ ტურნირში გამოუცხადებლობის გამო, გაუქმებულია. ეს სანქცია, შეგახსენებთ, გამოიწვია საფრანგეთის საელჩოს დაუდევრობამ, რომელმაც დროულად არ გასცა ვიზა საქართველოს ნაკრების წევრებზე.

ამიერიდან საქართველოს ქალთა ნაკრებს კვლავ ეძლევა უფლება იასპარეზოს საერთაშორისო შეჯიბრებებში.

ამასთან, დავძენთ, რომ ჩვენი ეროვნული ფედერაცია არ აპირებს კონფლიქტი ჩათვალოს ამოწურულად. დავა საფრანგეთის საკონსულოსთან არ დამთავრებულა და საქმე სასამართლოსთვის მზადდება. სწორედ სასამართლოს გადაწყვეტილებამდეა შეჩერებული ფულადი ჯარიმის გადახდა—არგადახდის საკითხი.

„ლელო"–სააგენტო „გუმათი".

ფარული დინებები მსოფლიო სპორტულ სამყაროში

მილიონად ნაყიდი ფედერაციის პრეზიდენტობა

ვინც მსოფლიო სპორტულ მოძრაობას თვალყურს ადევნებს, მით უმეტეს, თუ რაიმე შეხება აქვს მასთან, კარგად იცის რა საოცარი და ზოგჯერ გამაოგნებელი პროცესები მიმდინარეობს ამ სამყაროში. მიმართულებები ნაირგვარია, შედეგებიც... ამჯერად ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ მავანთა, განსაკუთრებით ოლიგარქთა ლტოლვაზე მოიპოვონ ხელმძღვანელი თანამდებობა საერთაშორისო სპორტულ სტრუქტურებში. მეტწილად, სპორტის ამა თუ იმ სახეობის ფედერაციის პრეზიდენტის სავარძლის დასაკავებლად მიმდინარეობს დაუნდობელი ჭიდილი. ხშირად, კანდიდატთა უკან დგას მისი ქვეყანა, რადგან ფედერაციის პრეზიდენტობა უკვე ნიშნავს იმას, რომ ეს ქვეყანა გარკვეულწილად, ზეგავლენას ახდენს ყველაზე მაღალი რანგის ასპარეზობების არა მხოლოდ ჩატარების ადგილის შერჩევაში, არამედ სპორტულ შედეგებზეც, მსაჯთა კორპუსზე ზემოქმედებით.

ქვემოთ სულ ახალ ამბავზე გიამბობთ, რომელიც, ალბათ, კლასიკურ მაგალითად გამოდგება ზემოთქმულის საილუსტრაციოდ.

წელიწადი ხდება ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ფარიკაობის საერთაშორისო და რუსეთის სპორტის ამ სახეობის ფედერაციები. მიზეზი გახდა ცნობილი ოლიგარქის, რუსეთის ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტის ალიშერ უსმანოვის რუსეთის მიერ მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტად არჩევის დაუოკებელი სურვილი. ახლანდელი პრეზიდენტი, ფრანგი რენე როკი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს ეროვნული

იხ. მე-2 გვ.

გუშინ. რაგბი.საქართველოს ჩემპიონატი:

„ხულიგანა" – „ყოჩები" 22:15
„ლელო„ – „აკადემია" 23:20

კოტე მახარაძის მემორიალი

გუშინ, თბილისის სპორტის სასახლეში დასრულდა ცნობილი სპორტული კომენტატორის და მსახიობის კოტე მახარაძის სახელობის რიგით მეხუთე საერთაშორისო ტურნირი მინი-ფეხბურთში, სამ ასაკობრივ (1991-1992-1993 წ.წ.) ჯგუფში 48 გუნდის მონაწილეობით. 1993-წლიანებში ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „გორი" — „35-ე საფეხბურთო სკოლა" და ფოთი — ზუგდიდი. ფინალში გორი — ზუგდიდის ორთაბრძოლის ძირითადი დრო 0-0 დასრულდა. პენალტების სერიაში კი გორელებმა იმარჯვეს და მთავარ პრიზს დაეუფლნენ. მესამე ადგილი ფოთელებს ხვდათ.

1992-წლიანების ნახევარფინალში „ავაზამ" — „საბურთალოს" მოუგო, „დინამომ" — „ზუგდიდს". ფინალში დინამოელებმა 2-0 დაამარცხეს მეტოქე, მესამეზე კი „საბურთალო" გავიდა.

რაც შეეხება 1991-წლიანებს, აქ ნახევარფინალში „მთვარის გლობუსი" „მგლებთან" დამარცხდა, მეორე მატჩში კი შენგელიას „დინამომ" აჯობა გაგუას თანაკლუბელებს. ფინალურ მატჩში „მგლები" დამარცხდნენ მეტოქესთან პენალტების სერიაში (ძირითადი დრო 2-2), ხოლო მესამეზე კი „მთვარის გლობუსი" გავიდა.

გუშინვე, კოტე მახარაძის დაბადების დღეს, ტურნირის ორგანიზატორებმა დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, მისი საფლავი ყვავილებით შეამკეს.

კახა მგელაძე

კოკაი იგებს და აგებს...

ლევან ცაგურიას ორი ორთაბრძოლის შედეგს (ერთი წაგება, ერთი მოგება) „ლელოს" მკითხველი ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გაეცნო. მესამე შეხვედრა კოკაიმ აღმოსავლეთის მაეგაშირა ტამანოშიმასთან წააგო. მეოთხე შერკინება ისევ „შავი ზღვის" სასარგებლოდ დასრულდა. ჩვენებურმა ამჯერად დასავლეთის მეშვიდე მაეგაშირა ტოკიტენკუ შეავიწროვა.

მეხუთე პაექრობა კოკაიმ გუშინ გამართა. მისი მოწინააღმდეგე იყო დასავლეთის მეოთხე მაეგაშირა ივაკიამა. ქართველი ადრე ექვსჯერ უკვე შეხვედრია ამ ოსტატს და ხუთჯერ გაუმარჯვნია. ცაგურიამ ამჯერად ვერ სძლია „დაბრიყვებულ" მეტოქეს და სეზონის ბოლო ბაშოზე რიგით მესამე მარცხი იწვნია...

ერთი მედალი, მაგრამ დიდი ოპტიმიზმი

ტრადიციულად ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებში თუ ტურნირებში ქართველი სამბისტები ყოველთვის თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ. ამჯერად კი ასტანაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატიდან შინ ჩვენი ნაკრები მხოლოდ ერთი მედლით დაბრუნდა — მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა მინდია ბოდაველი (90 კგ), რომელსაც სპორტის გულშემატკივრები ადრე ძიუდოდან იცნობდნენ.

გუშინ, სპორტის დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე ნაკრების მწვრთნელებმა და ფედერაციის ხელმძღვანელებმა მასმედიის წარმომადგენლებს გააცნეს ის მიზეზები, რამაც ჩვენი ნაკრების წარუმატებელი გამოსვლა განაპირობა. ოპტიმიზმი რჩება. ჩვენც ვირწმუნოთ.

გაზეთის დაბეჭდვამდე:

აზია დამატებით საგზურს ითხოვს

ფეხბურთში მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის დამთავრების შემდეგ, აზიის საფეხბურთო კონფედერაციის ხელმძღვანელობა აპირებს ფიფას მოსთხოვს დამატებითი საგზური ამ რეგიონის გუნდების მონაწილეობით გამართული შესარჩევი ეტაპისათვის.

„ჩვენ ყოველთვის გვსურდა გაგვეფართოვებინა ჩვენი წარმომადგენლობა მსოფლიო ჩემპიონატზე. თუ ჩვენი გუნდები წარმატებით იასპარეზებენ გერმანიაში, აუცილებლად მოვთხოვთ ფიფას დამატებით საგზურს", — განაცხადა აზიის საფეხბურთო კონფედერაციის პრეზიდენტმა მოჰამედ ბენ ჰამამმა.

ფარული დინებები მსოფლიო სპორტულ სამყაროში

პირველი გვერდიდან

ფედერაციების აბსოლუტურ უმრავლესობაში, ათენში გამართული ოლიმპიადის შემდეგ, შარშან ზედიზედ მეოთხედ აირჩიეს ამ პოსტზე. ბოლო არჩევნები შარშან დეკემბერში გაიმართა პარიზში. სწორედ იქ მიაღწია კულმინაციას დაპირისპირებამ. უსმანოვი, მისი პირადი მცდელობისა და რუსეთის აქტიური მხარდაჭერის მიუხედავად, როკთან 28:70 დამარცხდა.

ამის მერე, რუსეთმა განიზრახა ჯერ ევროპის ფედერაცია მაინც მოექცია თავისი გავლენის ქვეშ. პეკინის ოლიმპიადამდე როკის სავარძელს ვერავინ შეარყევდა, ევროპის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები კი კარს იყო მომდგარი. ამასთან, მერე, უსმანოვს, როგორც კონტინენტის პრეზიდენტს, გაცილებით მყარი პოზიცია ექნებოდა როკის შესაცვლელად.

ევროპის ფედერაციის ყრილობა გაიმართა წლეულს, ივნისის ბოლოს, ბუდაპეშტში. როკს და მის მომხრეებს რუსეთის შეშვება არც ევროპის ფედერაციაში სურდა და თავიანთი კანდიდატურა ინგლისელი **სმიტი** დაუპირისპირეს უსმანოვს. რა ხერხს აღარ მიმართა რუსეთის მხარემ. ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ უსმანოვმა ევროპის ფედერაციის ბიუჯეტში ჩარიცხა... მილიონი დოლარი. ეს მაშინ, როცა ამ ფედერაციას არჩევნების წინ მხოლოდ 30 ათასი ჰქონდა თავის აქტივში. ამასთან, რუსეთმა მიაღწია იმას, რომ ყრილობაზე ჯერ ბიუჯეტის საკითხი განეხილათ და დაემტკიცებინათ კენჭისყრით. სად 30 ათასი და სად მილიონი. და მაინც, ბიუჯეტი მხოლოდ ერთი ხმის უპირატესობით 21:20 დამტკიცდა. ასე რომ, იმ 20-მა დელეგატმა მილიონს თავისი ღირსების დაცვა ამჯობინა. მხოლოდ ამის შემდეგ გაიმართა პრეზიდენტის არჩევნები, რაც უსმანოვმა 26 ხმით მოიგო — 18-ის წინააღმდეგ და გახდა ევროპის ფედერაციის პრეზიდენტი.

2008 წლის წინასაოლიმპიადო, 2007 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების ადგილიც არ იყო გადაწყვეტილი. ეს საკითხი ამ დღეებში განიხილა მსოფლიო ფედერაციამ კატარში. როკმა წამოაყენა პლოვდივი, სადაც შარშან იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა. რუსეთმა კი უკვე ევროპის ფედერაციის მხარდაჭერით, სანკტ-პეტერბურგი წამოაყენა. მოკლედ, როკისა და უსმანოვის დაპირისპირება აქაც გაგრძელდა და დიდი მუშაობის შემდეგ, ოლიგარქის სასარგებლოდ დასრულდა — 52:40. ასე რომ, სანკტ-პეტერბურგი უმასპინძლებს მოფარიკავეთა წინასაოლიმპიადო მსოფლიო ჩემპიონატს.

აი, ასეთია ვითარება, რომლის წყალქვეშა დინებების ამოცნობა, ვფიქრობთ, მკითხველს არ გაუჭირდება.

დავძენთ, რომ კატარში გამართულ კენჭისყრაში საქართველოდან მონაწილეობდა ორი დელეგატი — ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **ზურაბ ცქიტიშვილი** და გენერალური მდივანი **მორის სახვაძე**.

თენგიზ თომაშვილი.

საერთაშორისო ტურნირი

გამოცდილება უწვალებლად არ მოდის...

14-15 წელი მოზარდისთვის ის ასაკია, როცა სპეციალისტებს უკვე თამამად შეუძლიათ მათი სპორტული მონაცემების შემოწმება და ნიჭის ამოცნობა. საერთაშორისო დონის ასპარეზობები კი, როგორც მწვრთნელებს, ისე მათ შეგირდებს შესაძლებლობას აძლევს წარმატებით მიუახლოვდნენ დასახულ მიზანს.

ამ დღეებში ანტალიაში ძიუდოში გამართული საერთაშორისო ტურნირი თურქეთის, ბულგარეთის, ყაზახეთის, უზბეკეთის, სირიის, რუსეთის, კოსოვოს, აზერბაიჯანის, ისრაელის, თურქმენეთის და საქართველოს 14-15 წლის გოგონებისა და ჭაბუკების მონაწილეობით სწორედ ის ასპარეზობა იყო, სადაც დიდი ტატამის მომავალი ოსტატები თავიანთი უნარის სრულად გამოვლენით იბრძოლებდნენ წარმატებისთვის.

ჭაბუკებს ანტალიაში მწვრთნელი **ზურაბ კოროხაშვილი**, გოგონებს კი საქართველოს ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გოდერძი ველიჯანაშვილი** და მწვრთნელი **ლუდმილა ფერაძე** ახლდნენ.

ჭაბუკებმა ოთხი მედალი მოიპოვეს. **ზებედა რეხვიაშვილმა** (60 კგ) და **იაგო მესტვირიშვილმა** პირველობა დაისაკუთრეს. **აჩიკო შინჯიკაშვილს** (66) ვერცხლის მედალი ხვდა წილად. გუნდი კი მესამე ადგილზე გავიდა.

„ასეთ შედეგს მონაწილეთა სიმცირის გამო ველოდით. სრული შემადგენლობით რომ გვეასპარეზა, აუცილებლად მოვიგებდით გუნდურ პირველობას. ამის საშუალება კი ფინანსების უკმარობის გამო არ მოგვეცა. ეს ბიჭები ახლა საქართველოს პირველობისთვის ემზადებიან. გაზაფხულზე კი აუცილებლად მიიღებენ მონაწილეობას თანატოლთა შორის ევროპის პირველობაზე“ — გვითხრა მწვრთნელმა ზურაბ კოროხაშვილმა.

რაც შეეხება ჩვენს გოგონებს, მათ ვერცხლის ორი და ბრინჯაოს სამი მედალი დაიმსახურეს. მეორე პრიზიორები არიან: **ნაია ვეშაგური** (48), **მარი ოქრიაშვილი** (52); მესამე ადგილზე გავიდნენ: **სოფო როსტომაშვილი** (44), **მაია ტარუაშვილი** (52), და **მირანდა გვიანიძე** (მძიმე). ვიტყვით, რომ მსაჯობა არ იყო მთლად ობიექტური. დაჩაგრულთა შორის კი ჩვენებიც აღმოჩნდნენ. განსაკუთრებით დაჩაგრეს მაია ტარუაშვილი, ფინალში გადასასვლელ შეხვედრაში.

საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა, რაღა თქმა უნდა, დიდებულია, მაგრამ მგზავრობა სანანებლად არ უნდა გაუხდეს გუნდს და მის ხელმძღვანელებს. ნაქირავებმა, მოუწესრიგებელმა ავტობუსმა კი ნამდვილად გააწამა მგზავრები.

ელენე კეჩხოშვილი, რუსუდან ხუროშვილი.

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტები. თბილისი-ანტალია-თბილისი

P.S. „ლელოს“ რედაქცია მადლობას მოახსენებს საქართველოს ძიუდოისტ ქალთა ნაკრების უფროს მწვრთნელ გოდერძი ველიჯანაშვილს, ტურნირზე ჩვენი კორესპონდენტების გამგზავრებაში ხელშეწყობისთვის.

ოსტატობის და გრაციის ზეიმი თბილისში

თბილისში ამ დღეებში ოსტატობისა და გრაციის ჰარმონიის დაუვიწყარი ზეიმი შედგა — საქართველოს სპორტცეკვების ეროვნულმა ფედერაციამ ღია შეჯიბრება ჩაატარა სპორტულ ცეკვებში — „ოქროს საწმისი-2005“. მონაწილეობდა 9 ქვეყნის (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი, ისრაელი, ლიტვა, თურქეთი) წყვილები ასაკობრივ ქვეჯგუფებში, როგორც ევროპულ, ისე ლათინო-ამერიკულ ცეკვებში.

ტურნირის უმნიშვნელოვანესი პროგრამა იყო საერთაშორისო რეიტინგული ტურნირი „ინტერნეიშენ ოპენ“ ლათინო-ამერიკულ ცეკვებში. აქ მოზრდილებში (16 წლის ზევით) წარმოდგენილი იყო 26 წყვილი 9 ქვეყნიდან. საქართველოს დუეტმა (**გიორგი ტაბატაძე — თათული გოგიშვილი**) მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. ახალგაზრდებში კი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დადგომის საპატიო უფლება მოიპოვა **ზურაბ კიკაბიძე — სალომე ჭაჭუას** წყვილმა.

ფოტოები რობერტ ბაგოიანისა.

ზურაბ კიკაბიძე და სალომე ჭაჭუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ახალგაზრდების“ პროგრამით გამარჯვებულთა კვარცხლბეკი — რჩეულნი ტურნირის ორგანიზატორებთან ერთად

კომბინირებულ ბილიარდში

ამას წინათ, კინოთეატრ „თბილისში“ ღვაწლმოსილი არქიტექტორების **მუზაფერ მამუჭაძისა** და **როლან მურვანიძის** ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართა კომბინირებულ პირამიდაში. ორგანიზატორები იყვნენ აჭარის ბილიარდის ფედერაცია, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის აჭარის ორგანიზაცია, საქართველოს დიზაინთა კავშირის აჭარის ორგანიზაცია, აჭარის მშენებლობის სამინისტრო, საქართველოს მხატვართა კავშირის აჭარის ორგანიზაცია.

ტურნირი 16 მობილიარდის მონაწილეობით ნახევრად ოლიმპიური სისტემით (ორ წაგებამდე) ჩატარდა. ნახევარფინალში ერთმანეთს ძველი მეტოქეები **ჯიმსონ გურგენიძე** და **გიორგი ბაღოშვილი** შეხვდნენ. ფინალში ბაღოშვილი გავიდა. მეორე ფინალისტი **თენგიზ ღლონტი** გახდა.

ხუთპარტიიან პაექრობაში 3:2 გამარჯვება თენგიზ ღლონტს ხვდა წილად და მასვე გადაეცა მთავარი პრიზი — ხისგან დამზადებული მოჩუქურთმებული სასმისი, აგრეთვე, მაგიდის საათი და მხატვარ **კობა ფირცხალაიშვილის** მიერ შესრულებული გრაფიკული ნამუშევარი.

ოთარ მურვანიძე,

„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი. ქ. ბათუმი.

სტალინი ვერ გამოზარდეთ?

იყო ასეთი შემთხვევა

კრიზისი ქართულ ფეხბურთში 1954 წელს დაიწყო, როცა თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდმა საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშებაში მისთვის უჩვეულო მერვე ადგილი დაიკავა. მომდევნო, 1955 წლის საკავშირო ჩემპიონატში ჩვენი გუნდი, რომელსაც სათავეში **ანდრო ჟორდანია** ედგა, მეცხრე ადგილზე ჩამოქვეითდა.

ქართული ფეხბურთის ფლაგმანის ძალთა უსუსურმა გამოსვლამ ღრმად ჩააფიქრა პარტიული ხელმძღვანელები. საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება, რათა გუნდის მობერებული შემადგენლობა, ახალგაზრდა, ჩინებული მონაცემების ფეხბურთელებით შეევსოთ. ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ ამ საკითხს ეძღვნება პარტიის თბილისის კომიტეტის საგანგებო ბიურო, რომელზედაც მიწვეულები იქნებიან ფეხბურთის საქალაქო და რესპუბლიკური ფედერაციის პასუხისმგებელი მუშაკები, თბილისში მოქმედი მოზარდთა და ბავშვთა ფეხბურთის სპეციალიზებული სკოლების დირექტორები, მწვრთნელები.

მაშინდელ 35-ე საფეხბურთო მოზარდთა სკოლაში XX საუკუნის ლეგენდარული ფეხბურთელები — მიხეილ მესხი, შოთა იამანიძე, ზაურ კალოევი, ძმები ალიოშა და სერგო კოტრიკაძეები, ავთანდილ ჭკუასელი აღიზარდნენ. ცეკას ბიუროს ამ სკოლის უბერებელი დირექტორი (დღეს ბატონი შოთა 86 წლისაა) **შოთა მერკვილაძეც** ესწრებოდა. როცა ბიუროს წევრმა, ერთმა წამყვანმა პარტიულმა მუშაკმა „დინამოს“ სრულფასოვანი რეზერვებით მომარაგებაზე დაიწყო საუბარი, რამდენიმე კითხვით მიმართა დიდი იუმორით დაჯილდოებულ 35-ე საფეხბურთო სკოლის დირექტორს:

— ამხანაგო მერკვილაძე! რამდენი ფილიალი გააჩნია დედაქალაქში თქვენს სკოლას? „ფიზრუკამ“ (ასე სიყვარულით უწოდებდნენ დირექტორს) მყისვე უპასუხა

— ქალაქში შვიდი რაიონია, მაშასადამე, შვიდი.

— რამდენი ბავშვი სწავლობს და გადის წვრთნას აღნიშნულ ფილიალებში?

— „პაჩტი“ (სტილი დაცულია) 1400-მდე ჭაბუკი ფეხბურთელი.

— ძალიან კარგი, განაგრძობდა პარტიული მუშაკი. თქვენი სკოლის გარდა დედაქალაქში მომუშავე სხვა საფეხბურთო სკოლებიც ხომ ეწევიან ბავშვებთან აღმზრდელობით მუშაობას?

— რაღა თქმა უნდა, პატივცემულო, პასუხობდა შეკითხვებს ფეხზე მდგარი შოთა მერკვილაძე.

— მერე, თქვე დალოცვილებო, თუ თბილისის ბავშვთა საფეხბურთო სკოლებში 1200-ზე მეტი მოზარდი ეუფლება ფეხბურთის საიდუმლოებებს, ერთი **ბორის პაიჭაძე** ვერ აღზარდეთ? დარბაზში მსხდომ პარტიულ და სამეურნეო მუშაკებს ღიმილმა გადაურბინათ სახეზე, ატყდა ჩურჩული. შოთა ნოშრევანის ძე მერკვილაძე, ის კაცი არ გახლდათ, რომ საკადრისი პასუხი ვერ დაებრუნებინა დილეტანტი ცეკას მუშაკისათვის. როცა ოთახში ცოტა სიჩუმე ჩამოვარდა, ბატონმა შოთამ განაცხადა:

— ახლა შეიძლება, პატივცემულო, მეც შეგეკითხოთ ზოგი რამე?

— რამდენი პარტიული რაიკომია თბილისში?

— შვიდი, რა თქმა უნდა.

— რამდენი პარტიული სასწავლებელი და სკოლა იქნება ახალგაზრდავ თქვენი აზრით საქართველოში?

განცვიფრებულმა პარტიულმა მუშაკმა 1300-ზე მეტიო, მიუგო.

— ჰოდა, თქვე მამაცხონებულებო, ერთი სტალინი ვერ აღზარდეთ?

დარბაზში ისეთი ხარხარი ატყდა, პარტიული მუშაკები ერთმანეთს ასკდებოდნენ...

შალვა ქირია

დიმიტრი დუნდუას ახალი თაოსნობა

პირველი გვერდიდან

იყო შემოღებული განათლების სამინისტროს ბრძანებით სასკოლო, ე.წ. დიდ დასვენებაზე, თანაც ყველგან ძირითადად იმ კუთხის თამაშები უნდა შეეტანათ პროგრამაში.

ადრე სპორტის ეროვნული სახეობების და ხალხური თამაშობების ფედერაციაც იყო დაფუძნებული, მართალია, ბევრი არაფერი გაკეთებულა, მაგრამ, მაინც. ახლა ეროვნული სულიკვეთების შესანიშნავმა ენთუზიასტმა, **დიმიტრი დუნდუამ**, რომელმაც უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის რეგისტრირებულ კავშირ „ლაზარეს“ დაფუძნებით და გაწეული საქმიანობით გამოიჩინა თავი, ახლა „ქართული ხალხური თამაშობებისა და სპორტის ეროვნულ სახეობათა ასოციაციის“ შექმნით მიიქცა საზოგადოებრიობის ყურადღება. ეროვნული საუნჯე ყველას საზურნავია. სწორედ ამის გათვალისწინებით, გამოცდილ სპეციალისტთა და დაინტერესებულ პირთა შემოკრების სურვილით, ჩატარდა დისკუსია ზემოხსენებულ თემაზე. კონკრეტულად საკითხი ასე იყო ჩამოყალიბებული: „დებატები ასოციაციის საქმიანობის პერსპექტივების, ქვეყნისთვის მისი მნიშვნელობის გაცნობისა და თანადგომის მიზნით“. შესავალი სიტყვით, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში გამართულ ამ შეკრებაზე, გამოვიდა თვით დიმიტრი დუნდუა. სპორტის აკადემია კი სწორედ ის კერაა, სადაც ათეული წლებია იკვლევენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში დღემდე შემორჩენილ ხალხურ თამაშობებს და სპორტის ეროვნულ სახეობებს. ცხადია, ამ საქმეში თავის დროზე დიდი მუშაობა გასწია ფიზიკური კულტურისა და სპორტის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა. ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ კვლევები გაგრძელდება საქართველოს დღევანდელ საზღვრებს გარეთ, ქართველებით კომპაქტურად დასახლებულ ჩვენს ყოფილ ტერიტორიებზე თურქეთსა და



[illegible]

აზერბაიჯანში. დისკუსიაში მონაწილეობდნენ ჰერეთიდან ჩამოსული საზოგადო მოღვაწეები **ზურაბ პაპიაშვილი** და **ნიკოლოზ თამაზაშვილი**, სპორტის აკადემიიდან — **გიული კახიძე**, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტიდან — **ლერი ხაბელოვი** და **დავით კინწურაშვილი**, კინორეჟისორი — **ლერი სიხარულიძე**, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან — **თამაზ თევზაძე**, ცურვის ხალხური სტილების პროპაგანდისტი **ჰენრი კუპრაშვილი**, ვეტერანი სპორტის მუშაკი — **ქრისტეფორე ნინიაშვილი**, ასოციაციის გენერალური მდივანი **ვაჟა ნუცუბიძე**, ქართული ორთაბრძოლის „ხრიდოლის“ სპეციალისტი — **ნუკრი მჭედლიშვილი**, ჟურნალისტები **თენგიზ გაჩეჩილაძე** და **გაბრიელ ბარჯაძე**.

სამწუხაროდ, ამ მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებას, მიწვევის მიუხედავად, თავი აარიდეს იმ სტრუქტურების წარმომადგენლებმა, რომლებსაც შეუძლიათ და სტატუსითაც ევალებათ ხელი შეუწყონ ქვეყანაში ხალხური თამაშობებისა და სპორტის ეროვნული სახეობების აღორძინებას, მის ჩაყენებას, როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცების, ისე სპორტის საერთაშორისო სახეობებში მაღალი შედეგების მიღწევების სამსახურში.

სააგენტო „გუმათი“ — „ლელო“.

საქართველოს ფარიკაობის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა წარსულში ცნობილი მოფარიკავე, რაინდული თვისებებით გამორჩეული პიროვნება

დავით (დათო) ჯავახიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ვერისბაღელის მოგონებები
«ფეხბურთის კარუზო» მირჩევნია

შეხვედრა წარსულთან

ცხონებულმა მამაჩემმა, 1938 წლის შემოდგომაზე სასწავლებლად თბილისის სტალინის სახელობის №1 საშუალო სკოლაში მიმიყვანა, რომელიც ელიტარული ოჯახის შვილების სკოლას წარმოადგენდა. იგი საუკეთესო იყო იმ წლებში და საუკეთესოა დღესაც. მახსოვს, მეშვიდე კლასში ქუთაისიდან ახალგადმოსული მოსწავლე **რეზო ქებულაძე** შემოიყვანა დირექტორმა **ჯაჯუ ჯორჯიკიამ** (თბილისის „დინამოს" კალათბურთელის **ნოდარ ჯორჯიკიას** მამა) და ჩემს გვერდით მერხზე მიუჩინა ადგილი. მე და რეზო მალე დავმეგობრდით, ჯერ სკოლა დავასრულეთ, ხოლო შემდეგ 1950 წლიდან თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები გავხდით. ჩვენი მეგობრობა სტუდენტურ წლებშიაც გრძელდებოდა და მაშინაც არ შეწყვეტილა, როცა ჩემმა ქუთაისელმა ძმაკაცმა ტრამვაის ვაგონზე შეხტომის დროს ორივე ფეხი დაკარგა.

ერთხელ რეზო ქებულაძეს მოსკოვში ვახლდი. იქაურ ქარხანაში მისთვის ახალთახალი პროთეზები უნდა დაემზადებინათ. მე, როგორც ფეხბურთის ქომაგს, განზრახული მქონდა „დინამოს" სტადიონზე ლენინგრადის „ზენიტისა" და ცდკა-ს კალენდარული მატჩი მენახა. რეზო სასტუმრო „მოსკვაში" დავტოვე და სტადიონზე გავემართე (მაშინ ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონი აგებული არ იყო). ბილეთების სალაროს გვერდით, საკავშირო ჩემპიონატში მონაწილე გუნდების სატურნირო ტაბლო იყო დამონტაჟებული. მის ქვემოთ ფეხბურთის გულშემატკივრებს მოეყარათ თავი. თამაშის დაწყებას ორი საათი აკლდა. ერთი მხარე ამტკიცებდა, რომ ცდკა-ს ლეგენდარული თავდამსხმელი **ვსევოლოდ ბობროვი** თავისი მაღალი ტექნიკითა და ბომბარდირული თვისებებით საგრძნობლად სჯობდა ტორპედოელ ცენტრალურ თავდამსხმელს **ედუარდ სტრელცოვს**. ჩვენი ვსევა (ასე შემოკლებით უწოდებდნენ XX საუკუნის ფეხბურთის გენიოსს), ამტკიცებდნენ არმიელთა კლუბის გულშემატკივრები, თვითნაბადი ტალანტია. მას ღმერთისგან ყველაფერი აქვს ბოძებული. არ დაგავიწყდეთ, რომ ბობროვმა თავბრუ დაახვია 1945 წლის შემოდგომაზე თვით ინგლისელებს, რომლებმაც მას „რუსული ტანკი" უწოდეს. ნურც იმას დაივიწყებთ, რომ მიხაილოვიჩი 6 თვეს ფეხბურთს თამაშობს, წლის მეორე ნახევარში კი საბჭოთა კავშირის შაიბიან ჰოკეისტთა ნაკრების კაპიტანია და არაერთხელ ჩალაგამოვლებული დაუტოვებია ჰოკეის სამშობლოს კანადის პროფესიონალები. ტყუილად როდი შეარქვა ხალხმა მას „რუსული ფეხბურთის შალიაპინი". და ბოლოს, ჩვენს ვსევას, თქვენი კერპის, სტრელცოვის მსგავსად მატჩის დროს ჩრდილში, დოინჯშემოყრილი არ უყვარს დგომა. ამ ხანგრძლივი მონოლოგის შემდეგ, ჯერი სტრელცოვის მხურვალე გულშემატკივრებზე მიდგა. სიგარეტს მოვუკიდე და ახლა მათი პასუხის მოსასმენად მოვემზადე. ჩვენი ედუარდი, დაიწყო ერთმა ქერათმიანმა აყლაყუდამ, არაფრით ჩამოუვარდება თქვენს სათაყვანებელ ბობროვს, რომელიც პირწავარდნილი ინდივიდუალისტია. ბობროვს ძალიან ეჯავრება კოლექტიური, ანუ გუნდური თამაში. როცა იგი მიიღებს ბურთს, ცდილობს მთელი მეტოქეთა დაცვა მოატყუოს და ბურთი კარში გააჩვიოს. ჰელსინკის XV ოლიმპიადაზე მან „ელექი გაუჩინა" ჩვენი ნაკრების მწვრთნელებს. სწორედ მისმა ინდივიდუალურმა და არა კოლექტიურმა თამაშმა დაღუპა ჩვენი ნაკრები. სულ სხვა ხასიათისაა ედუარდი, რომელსაც გვერდით ჰკუის კოლოფი **ვალენტინ ივანოვი** და ქარზე უსწრაფესი ქართველი — **სლავა მეტრეველი** უდგას. აღნიშნული კამათი, ვინ იცის რამდენ ხანს გაგრძელდებოდა, რომ ერთ-ერთ ცხარე მოკამათეს ჩემსკენ არ გამოეხედა.

— ქართველი ხართ, მეგობარო? — მომმართა მან. თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე და მორიგი სიგარეტი ამოვიღე კოლოფიდან.

— აი, ძმებო, სავსებით ნეიტრალური პიროვნება, რომელსაც ორივე თავდამსხმელის თამაში უნახავს. მოდით, მას მივანდოთ გადაწყვიტოს, რომელი უფრო კარგი ფეხბურთელი იყო — ბობროვი თუ სტრელცოვი? ყველამ ჩემსკენ გამოიხედა.

ბედნიერად ვთვლი თავს, რომ დავმტკბარვარ ჩვენი საუკუნის ორივე ლეგენდარული თავდამსხმელის ბრწყინვალე შემოქმედებით. ისიც მსმენია, რომ ედუარდ სტრელცოვს საბჭოთა ხალხმა სიყვარულის გამო „საბჭოთა ფეხბურთის ესენინი" უწოდა. ვსევოლოდ ბობროვი კი სამართლიანად ატარებს „რუსული ფეხბურთის შალიაპინის" სახელს, მაგრამ ძმებო, მე ორივე მათგანს, ჩემი ღრმა პატივისცემის მიუხედავად — „ფეხბურთის კარუზოდ" შერაცხული **ბორის პაიჭაძე** მირჩევნია. მოკამათე მხარეებს ძალიან მოეწონათ ჩემი პასუხი, სტადიონის გვერდით კაფეში ჩამიყვანეს, 3 ბოთლი არაყი მაყიდინეს და სამივე ლეგენდის — პაიჭაძის, ბობროვისა და სტრელცოვის სადღეგრძელოები შევსვით.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ 50-იანი წლები საბჭოთა ფეხბურთის აყვავების ხანა იყო. თბილისის „დინამოში" ბორის პაიჭაძე და **გაიოზ ჯეჯელავა** ბრწყინავდნენ, ცდკა-ში — გრიგორი ფედოტოვი, ვსევოლოდ ბობროვი, მოსკოვის „დინამოში" — **კონსტანტინე ბესკოვი, სერგეი სოლოვიოვი**, სტალინგრადის „ტრაქტორში" — **ალექსანდრე პონომარიოვი**, მოსკოვის „სპარტაკში" — **ნიკიტა სიმონიანი**, უფრო გვიან, „ტორპედოში" 19 წლის ედუარდ სტრელცოვმა დაიწყო ვირტუოზული თამაში. მახსოვს, 1950 წელს თბილისში, ადგილობრივ „დინამოსთან" სათამაშოდ მოსკოვის სამხედრო-საჰაერო ძალების გუნდი ჩამოვიდა, რომლის შემადგენლობაში ვსევოლოდ ბობროვიც გამოდიოდა. მის თაყვანისმცემელთა ერთმა ჯგუფმა, რომელთა შორის ჩემი თანაკლასელები **ზაური ყრუაშვილი**, დღეს აკადემიკოსი **გია იორდანიშვილი** და ამ სტრიქონების ავტორი ვიყავით, შემოვეხვიეთ ტანმაღალ ბობროვს და ავტოგრაფები ვთხოვეთ. სულმნათმა ზაურ ყრუაშვილმა ვერ მოითმინა და ჰკითხა მფრინავთა გუნდის ლიდერს, პაიჭაძე სჯობია თუ ფედოტოვი?

ბობროვმა ქოჩორზე ხელი გადაისვა და ავტოგრაფების დარიგებით გართულმა გვიპასუხა:

— „Берегите ребята Бориса Соломоновича, он ведь "Карузо советского футбола". любите хлопцы эту прекрасную игру, он вам дарит много хороших минут."

დანამდვილებით ვერ გავიხსენებ, რომელი წელი იყო, როცა მოსკოვის ვვს-ი ზაფხულში ქობულეთში ჩავიდა და ამხანაგური შეხვედრა წააგო 1-5 (მგონი ასე იყო) ადგილობრივ „კოლმეურნეს" გუნდთან. ეს ფაქტი „ნიანგმაც" არ გამოტოვა მხედველობიდან, სადაც ვერისბაღელ **გიგლა ფირცხალავას** მეგობრული შარჟი დაიბეჭდა. ვვს-ის უფროსი მწვრთნელი გაიოზ ჯეჯელავა მიმართავს ქობულეთელთა მწვრთნელს ლექსით:

„თუმც სასტიკად დაგვამარცხეთ,
„კოლმეურნეს" ვაჟკაცებმა,
გთხოვთ მიიღოთ ჩვენი კლუბის
ღირსეული ალტაცება".
„მაი რაა, ჩემო ძმაო,
სხვაი უფრო საშიშია,
დღეს თქვენ დუბლებს ეთამაშეთ
ასნავნოი ჩაიშია".

„ნიანგის" ეს ახალთახალი ნომერი ხელიდან ხელში გადადიოდა და ვერისბაღელი გულშემატკივრები დიდხანს ვიცინოდით. კიროვის ბაღის „ფეხბურთის აკადემიაში" თითქმის სისტემატურად დადიოდნენ ძმები **რუდიკ და გურამ მაგრაქველიძეები, გურამ და ჯემალ რატიანები, ნოდარ და თამაზ ქიქავები, დათო და კოტე ებანოიძეები, ძმები ტონიები, რუსლან და თენგიზ სანაკოევები** და კიდევ მრავალი სხვა.

თამაზ ქიქავა გატაცებული იყო ცხენოსნობით. იგი ფირზე აფიქსირებდა თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე გამართულ ნებისმიერ ასპარეზობას. მისი ფოტოები ძალიან ხშირად იბეჭდებოდა გაზეთების „ლელოს", „თბილისის", „კომუნისტის" (დღევანდელი „საქართველოს რესპუბლიკა") და სხვა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. ეს გახლდათ (იგი სულ ახლახან გარდაიცვალა) საკმაოდ განათლებული და ერუდირებული ფოტო-ჟურნალისტი. როცა ბაღელები წუთით ფეხბურთზე საუბარს შევეშვებოდით და ჩვენი ბედკრული სამშობლოს ისტორიის შესახებ დავიწყებდით საუბარს, დიალოგში თამაზ ქიქავა ჩაებმებოდა. თუ რომელიმე ჩვენთაგანს (ბაღელთა შორის მრავლად იყვნენ ისტორიკოსები — **გურამ ნემსაძე, გივი გამრეკელი, გიორგი დემეტრაძე, ქართლოს სვანიძე**, თქვენი მონა-მორჩილი და ათობით სხვები) რაიმე თარიღი შეეშლებოდა, თამაზი სახლში გავარდებოდა და თავისი აზრის გასამაგრებლად სათანადო ლიტერატურას მოიტანდა. მახსოვს, ერთხელ თამაზ ქიქავას ვკითხე:

— თამაზ, „დინამოს" სტადიონზე რომ ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრები პელე — გარინჩას თამადობით თამაშობდეს და იპოდრომზე თბილისის ჰაბუკთა პირველობა მიმდინარეობდეს ცხენოსნობაში, შენ რომელ ასპარეზობას დაესწრები? თამაზმა დაუფიქრებლად მიპასუხა:

— რა თქმა უნდა, ჩემო შალვა, იპოდრომზე წავიდოდი. — ასეთმა განცხადებამ აღშფოთება გამოიწვია გულშემატკივრებში, ქიქავას პოზიცია, მხოლოდ მოჭადრაკე **გერსიკ გერსამიამ**, ექიმმა **ალეკო ლაბარტყავამ** და „ჰაშიკამ" (**თამაზ გორდეზიანმა**) დაიცვეს. ბელადი და **ვერნი ალფაიძე** დიდხანს იცინოდნენ და ეუბნებოდნენ ცხენოსნობისათვის თავგადაკლულ ვერელ ფოტო-ჟურნალისტს: ეეჰ, ჩემო თამაზ, რა იმედები გაუცრუე შენს კოლეგებს — შალვა ქირიასა და გივი გამრეკელს! წარმოიდგინე, რომ ოპერაში ბენიამინო ჯილი მღეროდეს და ჩვენი ბაღის გულშემატკივარი **იურა კახნიაშვილი** („ბელკანტო") „დუბლების" თამაშზე წავიდეს? ასეთი კაცი შემოსაშვები იქნება ბაღში?

მავანმა და მავანმა შეიძლება იკითხოს კიდეც და ალბათ, ლოგიკურიც იქნება — კი მაგრამ, როცა ზამთარი დადგებოდა და ბაღის ხეივნები თოვლის თეთრ საბანში გაეხვეოდა, მაშინაც დადიოდითო „ფეხბურთის აკადემიაში"? წვიმიანი ამინდების პერიოდში ჩვენი ნავსაყუდელი იყო დღეს ვერის ბაღის შესასვლელთან აღმართული **ექვთიმე თაყაიშვილის** მახლობლად მდებარე კინო-თეატრი, რომლის დირექტორიც თბილისის „დინამოს" 50-იანი წლების ცნობილი მარჯვენა გარემარბი (უთამაშია ბორის პაიჭაძის მხარდამხარ) სპორტის ოსტატი **მიხეილ ჯოჯუა** გახლდათ (30 ნოემბერს ამ შესანიშნავ ხელოვანსა და ჩინებულ გარემარბს დაბადების 80 წელი უსრულდება). მიხეილი პირადად გვიცნობდა და ძალიან ხშირად გვეპატიჟებოდა კინოსეანსებზე, თანაც, მას, ჩვენი დაკვეთით კინო-გაქირავებიდან ჰოლივუდში გადაღებული ძველი ფილმები მოჰქონდა. ერთხელ კი ამ კინოთეატრში „რომაული არდადეგები" გადიოდა, რომელსაც ჩემი ვერელი კოლეგა, სულმნათი **დათუნა მაჭავარიანი** უყურებდა თურმე. ფილმის ბოლოს ერთი ეპიზოდი, როცა პრინცესა (ოდრი ჰეპბერნი) ეცნობა ჟურნალისტებს და ხელს ართმევს მათ. დათუნა მაჭავარიანს ხუმრობით წამოუძახია:

— შალვა ქირია, „საღამოს თბილისი", — დარბაზში სიცილი ამტყდარა. ეს ამბავი ერთმა ვერისბაღელმა მეგობარმა მომიტანა, არც კი მეწყინა, დათო ძალიან მიყვარდა. იგი მოსკოვში გაზეთ „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი იყო. ეს ფაქტი მას ლუჟნიკებში 1960 წლის გვიან შემოდგომაზე დონეცკის „შახტიორისა" და თბილისის „დინამოს" საბჭოთა კავშირის თასის ნახევარფინალური მატჩის დროს გავახსენე. რა თქმა უნდა, ორივემ ბევრი ვიცინეთ.

ზამთარში, ვერისბაღელების თავშეყრის საყვარელი ადგილი იყო ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი. გასტროლებზე უამრავი საზღვარგარეთელი სოლისტი ჩამოდიოდა, ოპერის თეატრში ძალიან თბილოდა. იქ ხშირად ვიკრიბებოდით ბელადის მომხრეები და პირწავარდნილი ოპოზიციონერები — **რეზო მელაშვილი, ლეო შენგელაია, თამაზ შელეგია** („ტაპუზა"), **მარლენ ტონია, ომარ ჯანაშია** და სხვები. ძალიან ახლოს ვიყავით XX საუკუნის ლეგენდარულ მოცეკვავესთან, ქართველი ხალხის სიამაყესთან **ვახტანგ ჭაბუკიანთან**, რომელიც ძალიან უბრალო და გულისხმიერი პიროვნება გახლდათ. ოპერისა და ბალეტის თეატრში ცნობილ ვერისბაღელ მხატვრებს — **ელგუჯა ბერძენიშვილს**, მის ძმას მერაბს, **ელგუჯა ამაშუკელსა** და სხვებს თბილისის „დინამოსა" და წინა საუკუნის ლეგენდა — მიშიკო მესხი დაჰყვებოდა. თავის დიდების ზენიტთან მდგარი „მტკვრისპირელ გარინჩად" შერაცხული მიხეილ მესხი თავის თაყვანისმცემლებს დიდი პატივით გვეპყრობოდა. ბაღელები მას ბევრ საინტერესო რამეს ვუყვებოდით, რამდენად იმახსოვრებდა მიშა ოპერის შინაარსსა და სხვა დეტალებს, ჩვენთვის უცნობი იყო. ახლოვდებოდა ოქტომბრის თვე, როცა მოსკოვში თბილისის „დინამოს" ნახევარფინალური მატჩი უნდა გაემართა დონეცკის „შახტიორთან". ამ დრამატული სათასო ბატალიების შესახებ, ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში მოგითხრობთ.

შალვა ქირია.

სურათზე: ბორის პაიჭაძე და ვსევოლოდ ბობროვის გუნდი ვვსი. მარცხნიდან მისი პირველი კაპიტანი.
ავტორის არქივიდან.

საფეხბურთო ვიქტორინა

1. **ახალგაზრდებს შორის 1979 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ვინ გახდა ტურნირის საუკეთესო მოთამაშე?**

ა — ვადანო
ბ — სანჩესი
გ — დიეგო მარადონა

2. **დაასახელეთ ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი, ბრაზილიელი ფეხბურთელი, რომელიც 1970 წელს მსოფლიო ჩემპიონატისთვის პერუს ნაკრებს ამზადებდა.**

ა — ზაგალო
ბ — დიდი
გ — გარინჩა

3. **ავსტრალიის ქალთა ნაკრებმა სამოას ნაკრებს მოუგო 21-0, რითაც რეკორდი გაიმეორა ქალთა ფეხბურთში. რომელ წელს მოხდა ეს მოვლენა?**

ა — 1998 წელს
ბ — 1999 წელს
გ — 2001 წელს

4. **რომელ წელს გარდაიცვალა ლეგენდარული ბორის პაიჭაძე?**

ა — 1988 წელს
ბ — 1990 წელს
გ — 1999 წელს

5. **რომელ წელს ჩაატარა აჭარის ფეხბურთელთა გუნდმა ორმატჩიანი ტურნე (მოიგეს 7-1, წააგეს – 1-2) თურქეთში, ტრაპიზონის ნაკრებთან?**

ა — 1924 წელს
ბ — 1925 წელს
გ — 1926 წელს

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-ა, 4-ბ, 5-ბ.

ფოტო – არქივიდან...

დრო ელვის სისწრაფით გარბის. გასული საუკუნის 60-იანი წლების მკვირცხლი, თმახუჭუჭა ბიჭებიდან ახლა ბევრი სამოც-სამოცდაათ წელსაა მიტანებული. მაშინ ისინი ზღვა სიხარულსა და სიამაყეს ანიჭებდნენ თაყვანისმცემლებს. იმარჯვებდნენ სხვადასხვა შეჯიბრებებში. სურათზე თქვენ ხედავთ ბათუმის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა 1963-1964 წლების გუნდს, რომელმაც სსრ კავშირის „ბ" კლასის IV ზონაში მოიპოვა პირველობა.

I რიგში (მარცხნიდან): იური კაჭარავა, ანზორ კვაჭაძე; II რიგში სხედან: აკოპ მინასიანი, ზურაბ დანელია, იური პერტენავა, ანზორ შაფათავა, ტარიელ ვერულიძე, ნოდარ ქინქლაძე, ალეკო ახალაძე; დგანან: უფროსი მწვრთნელი ნიკოლოზ კეშელავა, მიხეილ ჩხაიძე, ალი ყურშუბაძე, ვაჟა ჯოხაძე, ზურაბ ყურშუბაძე, ვოვა რამიშვილი, იოსებ იოსელიანი, რევაზ ლორია, მწვრთნელი – რევაზ ძნელაძე.

მოგვაწოდა ოთარ მურვანიძემ.
ბათუმი. ლელოს საკ. კორ.

„ლელოზე" ხელმოწერა გრძელდება
3 თვით — 10 ლარი და 80 თეთრი
6 თვით — 21 ლარი და 60 თეთრი
ხელმოწერის გასაფორმებლად გირჩევთ მიმართოთ „საქპრესას", „მაცნეს", „ინფოსერვისს", „უწყებანს"

რეგიონალური ლიგა

აღმოსავლეთი. XIV ტური

ნ. დინამო2 — სამგორი 6-3
დიღომი — ხალიბი 2-0
დურუჯი — ალგეთი 0-3
მაუდი — კახეთი2 1-0
ოჩამჩირე — ერთობა 5-0
ნ. დინამო — ამერი3 1-1
ალაზანი — ცხუმი 1-0
გარეჯი — ამირანი (ოჩ) 2-0

დიღომი	14	12	2	0	36-4	38
ამერი3	14	9	4	1	33-5	31
ნ. დინამო	14	9	4	1	31-7	31
ნ. დინამო2	14	9	3	2	26-12	30
ოჩამჩირე	14	9	1	4	34-17	28
ცხუმი	14	8	1	5	37-22	25
სამგორი	14	6	2	6	33-32	20
კახეთი2	14	5	4	5	21-13	19
მაუდი	14	5	4	5	15-17	19
ხალიბი	14	5	3	6	17-16	18
გარეჯი	14	5	3	6	13-12	18
ალაზანი	14	4	2	8	8-20	14
ამირანი (ოჩ)	14	2	3	9	17-32	9
ალგეთი	14	2	3	9	18-45	9
დურუჯი	14	1	2	11	11-51	5
ერთობა	14	0	2	12	10-55	2

დასავლეთი. იმერეთის ზონა
გადატანილი მატჩი
ზესტაფონი3 — მერცხალი 2-3

შუქურა	10	6	2	2	21-7	20
მერცხალი	10	6	2	2	15-14	20
კახაბერი	10	5	4	1	16-7	19
რაჭა	10	5	3	2	14-11	18
სამტრედია	10	4	5	1	10-6	17
დინამო2 (ბთ)	10	3	4	3	10-9	13
ზესტაფონი3	10	3	1	6	13-14	10
სულორი	10	2	4	4	9-11	10
იმერეთი	10	2	3	5	11-20	9
ტორპედო2(ქ)	10	1	3	6	8-18	6
ნ. დინამო(ქ)	10	0	5	5	6-16	5

სამეგრელოს ზონა. XI ტური

თოლია — დინამო (ზ) 5-2
მგლები — სალხინო 5-0
სამეგრელო — სქური 0-3
კოლხეთი (ხ) — კოლხეთი2 3-2

კოლხეთი (ხ)	11	7	2	2	18-8	23
სქური	10	6	2	2	21-10	20
კოლხეთი2(ფ)	11	5	2	4	24-16	17
თოლია	11	5	2	4	20-15	17
დინამო (ზ)	11	5	1	5	19-26	16
მგლები	11	4	4	3	17-13	16
სალხინო	10	4	0	6	17-25	12
სამეგრელო	11	0	1	10	6-29	1

ცენტრალური. XV ტური

თბილისი — პეტროვიჩი 0-1
ივერია — ამირანი (თბ) 2-3
35-ე სკ. — ჩიხურა2 0-0
აკადემია — ბორჯომი2 2-1
გორი — ზოოვეტი 0-1

ზოოვეტი	15	10	2	3	25-11	32
ბორჯომი2	15	10	1	4	31-17	31
ჩიხურა2	15	8	4	3	33-14	28
აკადემია	15	8	0	7	26-17	24
ამირანი (თბ)	15	8	0	7	23-21	24
გორი	15	6	4	5	31-23	22
ივერია	14	5	4	5	14-18	19
35-ე სკ.	15	4	2	9	24-32	14
თბილისი	14	3	0	11	15-42	9
პეტროვიჩი	15	2	3	10	14-40	9

საქართველოს
პროფესიული
ფეხბურთის
ლიგა

Coca-Cola
გენერალური სპონსორი

საქართველოს XVII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

რა იქნება შაბათ-კვირას?

სანაკრებო სეზონი ახლა მართლა დამთავრდა და თავისუფლად შეიძლება თვალი მხოლოდ ეროვნული პირველობის მატჩებს მივადევნოთ. პირველი წრის დასრულებამდე დარჩენილია ორი ტური, მატჩები, რომლებიც თვის ბოლოს, უმაღლესი ლიგის თექვსმეტ გუნდს გათამაშების ცხრილში რანგის მიხედვით განათავსებს. ამჯერად XIV ტურის მატჩები მიმოვიხილოთ.

პირველი წრის ბოლოსწინა ტური შაბათს დაიწყება და კვირას, ცხრილის შუაში მყოფი „ზესტაფონისა“ და ერთ-ერთი აუტსაიდერის სოხუმის „დინამოს“ თბილისური დაპირისპირებით დამთავრდება. მეტოქეებს სხვადასხვა ამოცანები აქვთ გადასაწყვეტი. მასპინძელი ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის, სტუმარი საფეხბურთო იერარქიულ საფეხურზე მაღლა ასვლას ცდილობს. ფავორიტებად ზესტაფონელები მიიჩნევიან, მაგრამ სოხუმელებს ბრძოლის უნარი ჯერ არ დაუკარგავთ.

წლეულს, აშკარა აუტსაიდერების შერკინება ქუთაისშია დანიშნული. წინა ტურში, „ტორპედო“ ბორჯომში დამარცხდა, „სპარტაკმა“ კი ბოლნისში, მოულოდნელად საპატიო ფრეს მიაღწია. ხუთქულიანი სხვაობის მიუხედავად, მეტოქეთა ძალა და სათამაშო კლასი, დაახლოებით, ერთი დონისაა და მატჩიც ამითაა საინტერესო.

გასულ უქმეებზე პირველი გამარჯვება მოიპოვა აუტსაიდერმა „თბილისმა“. დაძაბულ უშეღავათო ორთაბრძოლაში თბილისელებმა სოხუმელები მატჩის მიწურულს დაამარცხეს, ხვალ კი არანაკლებ რთული მატჩი აქვთ დევდარიანის შეგირდებს. მათ თელავში ადგილობრივი „კახეთი“ ელოდებათ.

ბათუმის „დინამო“ მშვიდადაა. ზღვისპირელებს, არც „ავარდნა“, არც „ჩავარდნა“ ემუქრებათ, მათ ხვალინდელ მეტოქე „ცხინვალს“ კი უჭირს, მაგრამ ჯიუტად მაინც თავისას ცდილობს.

ახლა კი ლიდერებს მივხედოთ. ჩემპიონატის ერთპიროვნული მეთაური „ვიტ ჯორჯია“, გორში „დილას“ ეწვევა და აქედანვე ნათელია, რომ იქ მარტო განთქმული ვაშლის მისართმევად არ ჩავა. ხელწამოსაკრავი და ადვილად დასაჯაბნი არც სტუმართმოყვარე გორელები არიან და მატჩის ცქერას ქომაგებით სავსე სტადიონზე, აბა, რა სჯობს.

ფოთის „კოლხეთი“ წლეულს, შინ კარგად თამაშობს და ხვალ მეტოქეც საკადრისი ჰყავთ კოლხებს. საპორტო ქალაქს თბილისის „დინამო“ ეწვევა, რისთვის და რატომ, საკითხავიც არ არის. ორივე გუნდის გულშემატკივრებმა კარგად იციან, ძველ მეტოქეთა შერკინება ნებისმიერ დროსა და ვითარებაში საინტერესო და დამაინტრიგებელია.

სავსებით მართებული იქნება ტურის ცენტრალურ მატჩებად ორი თბილისური შეხვედრა მივიჩნიოთ. გლდანში „ამერი“ ბოლნისის „სიონს“ უმასპინძლებს, ვაკეში „ლოკომოტივი“ „ბორჯომს“ მიიღებს. ორივე მატჩი მეტოქეთათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. მათმა შედეგმა შეიძლება გარკვეული გავლენაც კი იქონიოს გუნდების საბოლოო განლაგებაზე ტურნირის პირველი ნახევრის მიწურულს და მათი შემდგომი პერსპექტივებიც კი განსაზღვროს.

ეროვნული პირველობა საშუალოდ ფინიშს უახლოვდება და ჩემპიონატის მთავარი ინტრიგაც ეს არის.

უმაღლესი ლიგა. XIV ტური. ანონსი

19 ნოემბერი

ამერი — სიონი
ტორპედო — სპარტაკი
ლოკომოტივი — ბორჯომი
დილა — ვიტ ჯორჯია
დინამო (ბთ) — ცხინვალი
კოლხეთი1913 — დინამო (თბ)
კახეთი — თბილისი

20 ნოემბერი

დინამო (სოხ) — ზესტაფონი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
ვიტ ჯორჯია	13	10	2	1	29-9	32
სიონი	13	9	2	2	24-11	29
დინამო (თბ)	13	9	1	3	21-7	28
ამერი	13	9	1	3	15-8	28
ბორჯომი	13	9	0	4	24-10	27
ლოკომოტივი	13	8	3	2	18-5	27
ზესტაფონი	13	6	3	4	13-11	21
დინამო (ბთ)	13	6	2	5	13-12	20
კოლხეთი1913	13	6	0	7	13-16	18
დილა	13	5	1	7	17-16	16
კახეთი	13	5	0	8	13-20	15
ცხინვალი	13	3	2	8	9-23	11
დინამო (სხ)	13	3	1	9	14-31	10
ტორპედო	13	2	4	7	8-14	10
სპარტაკი	13	1	2	10	3-21	5
თბილისი	13	1	0	12	8-28	3

პირველი ლიგა. XV ტური. ანონსი

18 ნოემბერი

თბილისი2 — ამერი2
საგარეჯო — ჩიხურა
დინამო2 (თბ) — მეშახტე
გაგრა — მალაროელი
მერანი — გურია
რუსთავი — მეშაქრე
ზუგდიდი — მესხეთი

19 ნოემბერი

ლიახვი — ზესტაფონი2

20 ნოემბერი

ვიტ ჯორჯია (მცხ) — ლოკომოტივი2

გადადებული მატჩი

ზესტაფონი2 — ვიტ ჯორჯია2 (მცხ) 2-1

ჩიხურა	14	11	1	2	45-17	34
მერანი	14	9	3	2	21-9	30
მეშაქრე	14	9	2	3	28-13	29
დინამო2	14	9	2	3	26-8	29
რუსთავი	14	8	3	3	26-14	27
ამერი2	14	8	1	5	23-14	25
გურია	14	7	3	4	25-15	24
გაგრა	13	6	4	3	18-12	22
მესხეთი	14	6	3	5	18-18	21
საგარეჯო	14	6	2	6	15-14	20
მეშახტე	14	5	5	4	16-11	20
ზუგდიდი	14	5	3	6	6-10	18
ლოკომოტივი2	14	4	1	9	11-28	13
თბილისი2	14	3	3	8	13-26	12
ვიტ ჯორჯია2	14	3	3	8	10-18	12
მალაროელი	14	2	1	11	10-38	7
ლიახვი	14	2	0	12	12-39	6
ზესტაფონი2	13	2	0	11	11-30	6

საქართველო – იორდანია

სეზონი მაინც გამარჯვებით დასრულდა

საერთაშორისო ამხანაგური მატჩი. მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი. 16.11.05. 5000 მაყურებელი

საქართველო – იორდანია 3-2

(ეროვნული ნაკრებები)

საქართველო: რევიშვილი, მჟავანაძე, კანდელაკი, კალაძე, ხიზანიშვილი, განუგრავა (ბურდული, 82), კანკავა, გოგუა (კვირკველია, 74), მუჯირი (ჯაკობია, 72), დემეტრაძე (დარასელია, 77), არველაძე (აშვეთია, 82).

იორდანია: სალიმი, საადი, აჰმადი, ბანი იასენი, იბრაჰიმი, მაჰმუდი (კეშეკი, 69), შფასემი, ჰატემ აქლი, შელბანი (ჰაილი, 72), სალიმი, აბოალისჰი.

გააფრთხილეს: კანკავა, გოგუა, შფასემი, დემეტრაძე.

გოლები: 1-0 დემეტრაძე (4 წთ), 1-1 სალიმი (36), 1-2 საადი (60), 2-2 დემეტრაძე (65), 3-2 არველაძე (75).

მსაჯი: ი. პოზუმანი (თურქეთი).

ბულგარეთში განცდილი ფიასკოს შემდეგ, საქართველოს ნაკრები საკუთარ გულშემატკივართა წინაშე რეაბილიტაციას შეეცადა. როგორც იცით, ბულგარელებთან თამაშის შემდეგ „შალკეს“ ნახევარმცველი **ლევან კობიაშვილი** და „ფრაიბურგის“ ფორვარდი **ალექსანდრე იაშვილი** სოფიიდან გერმანიაში გაფრინდნენ და თავიანთ გუნდებს შეუერთდნენ. იმავეს აპირებდა **ზურაბ ხიზანიშვილი** და **შოთა არველაძე,** მაგრამ... ნაკრების მწვრთნელმა **გაიოზ დარსაძემ** კობიაშვილის და იაშვილის ნაცვლად გუნდში **კვირკველია, ბურდული** და **დარასელია** მოიწვია.

ოთხშაბათის მატჩს, მაინცდამაინც დიდი ინტერესი არ გამოუწვევია გულშემატკივრებში. მიზეზი კი, ალბათ, საკმაოზე მეტია. ეროვნული ნაკრები რომ ღრმა კრიზისშია, ფაქტია. თუ როდემდე გაგრძელდება ასე — ჯერჯერობით უცნობია. დარსაძე-ახალკაცის დუეტს სწამს, რომ სწორ გზას ადგანან და გეზს არაფრისდიდებით არ გადაუხვევენ.

მატჩის დებიუტი ქართველებისთვის კარგად დაიწყო. მე-4 წუთზე **განუგრავა – არველაძის** კომბინაცია **დემეტრაძემ** გოლად აქცია და მასპინძლები დააწინაურა. სწრაფმა გოლმა სტუმრები არ დააბნია. რამდენიმე წუთში მათ კარის აღების რეალური შესაძლებლობაც ჰქონდათ, მაგრამ **სალიმმა** ახლო მანძილიდან ვერ შეძლო ბურთის გატანა. სამაგიეროდ, მეორე მცდელობა მანვე ჩინებულად გამოიყენა და ტაიმის დასრულებამდე ათი წუთით ადრე ანგარიში გაათანაბრა 1-1.

მეორე ნახევარი 15 წუთის განახლებული იყო, როდესაც სტუმართა გუნდიდან ყველაზე გამორჩეულმა **საადიმ,** ისარგებლა ქართველი მცველების შეცდომით და დაუცველი კარის მიმართულებით ზუსტად დაარტყა. ამ გოლმა ქართველ გულშემატკივრებში ვნებათა ღელვა გამოიწვია. კიდევ კარგი, საპასუხო ბურთი ჩვენებმა მალე გაიტანეს. არველაძე — დემეტრაძის კომბინაცია, ამ უკანასკნელის გოლით დამთავრდა. შემდეგ, 75-ე წუთზე, **კანკავას** ჩაწოდებული ბურთი მარჯვენა ფლანგიდან არველაძემ ერთი შეხებით გაგზავნა აზიელების კარში და... 3-2. სტუმრებს მატჩის გადარჩენა მაინც შეეძლოთ, მაგრამ საადის დარტყმული საჯარიმოს გარედან, მეკარემ კუთხურზე მოიგერია. საბოლოოდ ქართველებმა მატჩი გამარჯვებამდე კი მიიყვანეს, მაგრამ მეტოქე შედარებით ძლიერი რომ ყოფილიყო, ალბათ, მორიგი სირცხვილი არ აგვცდებოდა.

პრესკონფერენციაზე იორდანიის ნაკრების დამრიგებელმა **ჯალა აბუ ლაბიდიმ** დიდი მადლობა გადაუხადა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, შემდეგ კი აღნიშნა: „ჩვენი ფეხბურთელები, ყველა საკუთარ ჩემპიონატში ასპარეზობს და მომავლისთვის გავდივართ მზადებას. თამაშის დასაწყისში ჩემი შეგირდები ზედმეტად ნერვიულობდნენ და, ვფიქრობ, მატჩი ფრედ 3-3 რომ დასრულებულიყო, უფრო სამართლიანი იქნებოდა“. მეტოქეზე კი შემდეგი განაცხადა: „მიუხედავად ბულგარეთში მარცხისა, საქართველომ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ძლიერ ძალას წარმოადგენს“.

გაიოზ დარსაძე, მიუხედავად გამარჯვებისა, უკმაყოფილო ჩანდა. მან თქვა: „კარგი ამხანაგური მატჩი გამოგვივიდა. უფრო დეტალურ ინფორმაციას მას შემდეგ მოგაწვდით, როდესაც ვიდეო-ფირს ვნახავ“. შემდეგ დარსაძემ ჟურნალისტების რამდენიმე შეკითხვას უპასუხა.

— ტრიბუნები სკანდირებდა: წადი, წადი, ბევრი ლანძღვა-გინება მოისმინეთ...

— მთლიანად მატჩზე ვიყავი გადართული და თუ რა ხდებოდა ტრიბუნებზე, არ ვიცი.

— იორდანიის საკმაოდ სუსტმა გუნდმა, ორი ბურთი გაუტანა საქართველოს. დაცვაში პრობლემებს ხომ არ ხედავთ?

— ნაკლოვანებები საკმაოდაა, სწორედ მაგაზე ვმუშაობთ.

— საქართველოს ნაკრებს 5 მატჩია არ მოუგია, ბიჭებს თუ გაუხარდათ გამარჯვება?

— რა თქმა უნდა, გაუხარდათ. კარგია გამარჯვების განწყობით რომ წავიდნენ თავიანთ კლუბებში.

ის იყო მწვრთნელს ლაპარაკი უნდა დაესრულებინა, როდესაც გასართობი პროგრამის „ღამის შოუს“ ერთ-ერთმა წამყვანმა **გოჩა თანდარაშვილმა** ფეხზე წამოდგომით განაცხადა: „ბატონო გაიოზ, ვიცი, ფეხბურთის ფედერაციას არ გააჩნია სახსრები, რომ ძლიერი მწვრთნელი ჩამოიყვანოს. პირველი მე ვიქნები და თქვენს ყულაბაში ხუთ თეთრს გავიმეტებ, იქნებ ფულის მოგროვება დავიწყოთ“.

შემდეგ კომენტარი **ნოდარ ახალკაცმა** გააკეთა: „ფეხბურთის ფედერაციაში მოსვლისას ჩვენ ვთქვით, რომ ყველა პროცესი იქნებოდა გამჭვირვალე. ჩვენებურ ხედვას უახლოეს მომავალში გამოვაქვეყნებთ და ყველა ნახავთ, თუ რა არის გასაკეთებელი ქართული ფეხბურთის განვითარებისათვის. ქართული ფეხბურთი ერთი კაცით ვერ გაძლიერდება და ყველამ უნდა მივიღოთ მონაწილეობა. ძალიან ბევრია გასაკეთებელი და ამას არც ვმალავთ. ქართული ფეხბურთი იქნება მანამდე, სანამ იარსებებს ქართველი ერი, იმას არ აქვს მნიშვნელობა ვინ იქნება სათავეში, დარსაძე, ახალკაცი, თუ სხვა. დღეს ქართული ფეხბურთის სათავეში არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც ჩვენი ფეხბურთის ფეხზე დაყენების დიდი სურვილი გააჩნია“.

ბოლოს მან თავისი სიტყვები, დიდი ქართველის **რეზო თაბუკაშვილის** ერთი ლექსით დაასრულა, თან დააყოლა, გამგები გაიგებსო.

კახა მგელაძე

კახა კალაძე ბავშვებზე იზრუნებს

ავსტრიელი ჰერმან მაინერის მიერ დაარსებული SOS ბავშვთა სოფლის „SOS-KINDERQORF INTERNATIONAL“-ის საქველმოქმედო ფონდი უკვე 54 წელია არსებობს და დაობლებულ და მიუსაფარ ბავშვებს უვლის და პატრონობს. ფონდს მსოფლიოს 130-ზე მეტ ქვეყანაში აქვს აშენებული ბავშვთა სოფლები, იქ მათ ცხოვრებისა და განვითარების საუკეთესო პირობები აქვთ. ფონდი მჭიდროდ თანამშრომლობს ფიფასთან და სადაც სოფლებია გაშენებული, იქ ფიფას თავისი ელჩები ჰყავს. ორშაბათს თბილისის SOS ბავშვთა სოფელს, რომელიც 1997 წელს დაარსდა, საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე ეწვია. მან ავტოგრაფები დაურიგა ბავშვებს, ბურთიც გააგორა და საქართველო – იორდანიის ეროვნულ გუნდთა მატჩზეც დაპატიჟა ისინი. კახა კალაძე ამიერიდან ფიფას ელჩი იქნება ჩვენებურ SOS ბავშვთა სოფელში და ბავშვებზეც იზრუნებს.



საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

საგზურები აღარ დარჩა

ყველა ფინალისტი ცნობილია

საბოლოოდ, სრულად გაირკვა იმ გუნდების ვინაობა, რომლებიც გაისად, გერმანიაში, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იასპარეზებენ.

ოთხშაბათს გაიმართა ჩემპიონატის ფლეი-ოფის განმეორებითი შეხვედრები, რომელთა შედეგების მიხედვით **შვეიცარიის, ჩეხეთის, ესპანეთის, ტრინიდადისა** და **ავსტრალიის** გუნდები დაემატნენ მანამდე მსოფლიო პირველობის საგზურებგანაღდებულ გუნდებს — **ბრაზილიის, არგენტინის, პარაგვაის, ეკვადორის, მექსიკის, აშშ-ის, კოსტა-რიკის, ანგოლის, კოტ'დივუარის, ტოგოს, განას, ტუნისის, იაპონიის, ირანის, კორეის, საუდის არაბეთის, გერმანიის, უკრაინის, ჰოლანდიის, პოლონეთის, ინგლისის, ხორვატიის, იტალიის, პორტუგალიის, შვედეთის, სერბეთის** და **საფრანგეთის ნაკრებებს.**

ფლეი-ოფის განმეორებით შეხვედრაში თურქეთის ნაკრებს ორბურთიანი „ჰანდიკაპი" უნდა გაებათილებინა შვეიცარიის გუნდთან (პირველი მატჩი 0-2). ეს ერთი შეხედვით რთული ამოცანა არ უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ თურქი ფეხბურთელები „საკუთარ კედლებში" თამაშობდნენ. დასაწყისი ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა: უკვე მეორე წუთზე შვეიცარიელები დაწინაურდნენ ფრაის მიერ ზუსტად შესრულებული თერთმეტმეტრიანის წყალობით. მასპინძლები მალე მოეგნენ გონს და იმდენი მოახერხეს, რომ შესვენებაზე უკვე ანგარიშში დაწინაურებულები გავიდნენ: 22-ე წუთზე სანლიმ წონასწორობა აღადგინა, 14 წუთის შემდეგ კი მანვე მეორედ აიღო სტუმართა გუნდის კარი — 2-1. მეორე ტაიმის დაწყებიდან შვიდიოდე წუთი იყო გასული, როცა სტუმრებმა საკუთარ საჯარიმო მოედანზე თამაშის წესი დაარღვიეს, მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა, რომელიც ზუსტად გამოიყენა ათეშმა — 3-1.

შეხვედრის დასრულებამდე 40 წუთი იყო დარჩენილი და თურქებს ერთი ბურთის გატანაღა აშორებდათ ფინალური ეტაპის საგზურს — აკი გაიტანეს კიდეც — ეს ისევ სანლიმ მოახერხა, მაგრამ... მანამდე მასპინძლებმა დასანანი ბურთი მიიღეს შტრელერისაგან. თურქეთის ნაკრებმა 4-2 გაიმარჯვა, მაგრამ ფინალურ ეტაპზე სტუმრად გატანილი ბურთების წყალობით, შვეიცარიის ნაკრები გავიდა.

თურქეთი — შვეიცარია, მატჩის შემდეგ

შეხვედრის დასრულებისთანავე თურქ და შვეიცარიელ ფეხბურთელებს შორის ჩხუბი ატყდა. ფინალურ ეტაპზე არგასვლით გაჯავრებულმა მასპინძლებმა ჯავრი მუშტი-კრივით იყარეს. შეხლა-შემოხლის შედეგად სხეულის დაზიანება მიიღეს და ჰოსპიტალიზირებულ იქნენ შვეიცარიის ნაკრების მოთამაშე სტეფან გრიშტინგი და ამავე გუნდის მთავარი მწვრთნელი კობი კუნი. კონფლიქტს თან ერთვოდა სხვადასხვა საგნების სროლა ტრიბუნებიდან.

გუნდების შემადგენლობა.

თურქეთი: დემირელი, სეიჰანი, ალფაი, ემრე (ბაშტიურქი, 82), პენბე, საჰინი, ათეში (ტეკე, 81), შუქური, ალთინთოფი, აკინი (მეთინი, 70), სანლი.

შვეიცარია: ცუბერბიულერი, მიულერი, შპიხერი, დაგენი (ბერამი, 46), სანდეროში, ფოგელი, ვიკი, კაბანასი, ბარნეტა, ქიგა (შტრელერი, 31, ჰუგელი, 87), ფრაი.

ჩეხებმა განმეორებითი შეხვედრაც 1-0 მოუგეს ნორვეგიის გუნდს. ეს ერთადერთი ბურთი 35-ე წუთზე როსიცკიმ გაიტანა.

ამ შეხვედრაში ჩეხეთის ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ჩეხი, გრიგერა, იანკულოვსკი, შმიცერი (შტაინერი, 75), პობორსკი, როსიცკი (კოვაჩი, 68), ნედვედი, პოლაკი, ბაროში (პლასილი, 90), უიფალუში, როზეგნალი.

ესპანელმა ფეხბურთელებმა, როგორც იცით, პირველი შეხვედრა საკუთარ მოედანზე 5-1 მოუგეს სლოვაკეთის გუნდს. ამიტომ განმეორებით მატჩს პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მეტოქეებმა თითო ბურთი გაცვალეს — 1-1. სლოვაკები გოლოშკოს გატანილი ბურთით დაწინაურდნენ, 20 წუთში კი ვილიამ აღადგინა წონასწორობა.

ესპანეთის ნაკრები: კასილიასი, სალგადო, ხავი (სერხიო, 74), პუიოლი, რაული (მორიენტესი, 65), ბარახა, ტორესი (ვილია, 61), ვისენტე, ლოპესი, ალონსო, პაბლო.

ტრინიდადისა და ტობაგოს ნაკრებმა ოთხი დღის წინ საკუთარ მოედანზე თუ ვერ შეძლო ბაჰრეინის გუნდის დამარცხება (1-1), ეს განმეორებით შეხვედრაში, სტუმრად მოახერხა მინიმალური ანგარიშით 1-0. გამარჯვება და ფინალური ეტაპის საგზური ტრინიდადელებს ლოურენსის მიერ გატანილმა ბურთმა მოუტანა.

საქმე თერთმეტმეტრიანების სერიამდე მივიდა ავსტრალიისა და ურუგვაის ნაკრებთა დაპირისპირებაში. ცნობილია, რომ გასულ შაბათს, ურუგვაელებმა შინ 1-0 დაამარცხეს ავსტრალიელები. ოთხშაბათსაც ასეთივე ანგარიში დაფიქსირდა, ძირითად დროში სიდნეიში, ოღონდ, ავსტრალიელ ფეხბურთელთა სასარგებლოდ. დამატებით დროში ბურთის გატანა ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო. თერთმეტმეტრიანების სერიაში მასპინძლები უფრო ზუსტნი აღმოჩნდნენ — 4-2.

ავსტრალია: შვარცერი, ნილი, ჩიპერფილდი, კეჰილი, ვიდმარი, პოპოვიჩი (კიუელი, 32), ემერტონი (სკოკო, 110), ვიდუკა, გრელა, კოლინა, ბრეშიანო (ალოზი, 96).

ურუგვაი: კარინი, ლუგანო, დ. როდრიგესი, მონტერო, (სოსა, 82), პაბლო გარსია, როდრიგესი, ვარელა, დიოგო, რეკობა (სალაიეტა, 73), რეგეირო (ესტოიანოფი, 89), მორალესი.

გაიმართა ამხანაგური შეხვედრებიც. მსოფლიოს 2006 წლის მონაწილეთაგან სამმა გუნდმა განიცადა მარცხი — სერბეთის, ანგოლისა და მექსიკის ნაკრებებმა. სერბმა ფეხბურთელებმა სტუმრად ვერაფერი გააწყეს სამხრეთკორეელებთან — 0-2, ხოლო ანგოლის ნაკრები მინიმალური ანგარიშით დამარცხდა იაპონიაში — 0-1.

მექსიკელები შინ 0-3 დამარცხდნენ ბულგარელებთან შეხვედრაში. სტუმართაგან თავი გამოიჩინეს ვალკანოვმა, ბოჟინოვმა და ბერბატოვმა.

იტალიელები საკუთარ მოედანზე ფრეს დასჯერდნენ კოტ'დივუარის გუნდთან შეხვედრაში 1-1, მეტიც, „სკუადრა აძურა" 86-ე წუთამდე 0-1 აგებდა (ანგარიში დროგბამ გახსნა), მაგრამ დიანამ შეძლო სირცხვილისგან ეხსნა თავისი გუნდი.

იტალია: აბიატი (ამელია, 71), ბარძალი, გროსი (ძამბროტა, 62), მატერაცი, ძაკარდო (იდო, 46), ბარონე, დე როსი (გატუზო, 46), პირლო (დიანა, 46), დელ პიერო (კამორანეზი, 46), ჯილარდინო (ტონი, 46), იაკუინტა.

არგენტინელმა ფეხბურთელებმა კატარში „გაისეირნეს" და ადგილობრივი ნაკრები 3-0 დაამარცხეს. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს რიკელმემ, კრუსმა და აიალამ.

არგენტინა: აბონდანსიერი, აიალა, სამუელი (მილიტო, 83), სორინი, როდრიგესი, დემიკელისი (კოლოჩინი, 46), ბატალია, ბილოსი (გონსალესი, 60), რიკელმე, მესი (ტევესი, 82), სავიოლა (კრუსი, 62).

გაგაცნობთ სხვა ამხანაგური თამაშების შედეგებს: რუმინეთი — ნიგერია 3-0, კვიპროსი — უელსი 1-0, საბერძნეთი — უნგრეთი 2-1, პოლონეთი — ესტონეთი 3-1, ეგვიპტე — ტუნისი 1-2, ლუქსემბურგი — კანადა 0-1, სირია — საემიროები 0-3

* * *

გაიმართა 21-წლამდელთა ევროპის 2006 წლის ჩემპიონატის ფლეი-ოფის განმეორებითი შეხვედრებიც: ხორვატია — სერბეთი 1-1 (პირველი შეხვედრა 1-3), დანია — რუსეთი 3-1 (1-0), ჰოლანდია — სლოვენია 2-0 (0-0), ბელგია — უკრაინა 1-3 (3-2), პორტუგალია — შვეიცარია 2-1 (1-1), გერმანია — ჩეხეთი 1-0 (2-0), იტალია — უნგრეთი 1-0 (1-1), საფრანგეთი — ინგლისი 2-1 (1-1).

კანტონა — ინგლისის პრემიერლიგის ისტორიაში საუკეთესო

დიდ ბრიტანეთში ჩატარდა გულშემატკივართა, პრემიერლიგის გუნდების მწვრთნელთა და მოთამაშეთა გამოკითხვა. მისი შედეგების მიხედვით, ინგლისის პრემიერლიგის ისტორიაში საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს „მანჩესტერ იუნაიტედის" 90-იანი წლების ფრანგი ფორვარდი ერიკ კანტონა. მან ხმების 17 პროცენტი მოაგროვა. მოქმედ ფეხბურთელთა შორის საუკეთესოდ აღიარეს ტიერი ანრი ლონდონის „არსენალიდან", საუკეთესო მწვრთნელად — „ჩელსის" თავკაცი ჟოზე მოურინიო.

რეკონსტრუქცია

სამშაბათს ციურიხში ჩატარდა საზეიმო ცერემონია, რომელიც მიეძღვნა სტადიონ „ლეტციგრუნდის" რეკონსტრუქციის დაწყებას, — ამ სპორტულმა არენამ ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩებს უნდა უმასპინძლოს. სტადიონი მზად ორი წლის შემდეგ იქნება.

სტადიონზე სამუშაოების დაწყებას „მწვანე შუქი" აუნთეს ციურიხის მერმა ელმარ ლედერ გერბერმა და ქალაქის საბჭოს წევრებმა: კეტრინ მარტელიმ და მონიკა ვებერმა, რომლებმაც სიმბოლურად ცოტათი „წაიმუშავეს" ნიჩბებით ხელში.

ორი წლის შემდეგ ციურიხელებს მრავალფუნქციონალური სპორტული არენა ექნებათ, რომელიც 25 ათასიდან 50 ათას მაყურებელს დაიტევს. ალბათ, გაგიკვირდებათ, რომ არ ფიქსირდება მაყურებელთა დასწრების ზუსტი რიცხვი. საქმე ის არის, რომ საფეხბურთო მატჩებისთვის გათვალისწინებულია 25 ათასი გულშემატკივრის დასწრება, მძლეოსანთა ტურნირებისათვის — 30 ათასის, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სტადიონზე კონცერტი მოეწყობა, მაყურებელთა რაოდენობა 50 ათასს მიაღწევს. აქედან გამომდინარეობს სტადიონის მრავალფუნქციონირებაც.

პროექტის განხორციელება 110 მილიონი შვეიცარიული ფრანკი დაჯდება (დაახლოებით 73 მილიონი ევრო). დამატებით კიდევ 5,9 მილიონი ფრანკი (დაახლოებით 4 მილიონი ევრო) გამოიყოფა ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის დამატებითი მოწყობილობების დამონტაჟებისახვის.

სარეკონსტრუქციო სამუშაოები ორ ეტაპად ჩატარდება. მას შვეიცარიული კომპანია „ცვოკე" ახორციელებს. 9 თვეში, იქ, სადაც ახლა საწვრთნელი მოედანია, აშენდება სტადიონის ძირითადი ტრიბუნა.

ამ სტადიონზე საფეხბურთო კლუბი „ციურიხი" ასპარეზობს. ეს გუნდი მომავალი წლის ზაფხულში უკანასკნელ შეხვედრას ჩაატარებს „ლეტციგრუნდზე" და ერთი წლით გადაბარგდება „გრასჰოპერსის" კუთვნილ არენაზე — „ჰარდტურმზე". 2006 წლის აგვისტოში ძველ „ლეტციგრუნდზე" უკანასკნელად ჩატარდება მძლეოსანთა ტრადიციული ტურნირი „უელთკლარ ციურიხი".

რეკონსტრუქციის მეორე ეტაპი ის არის, რომ ძველი ტრიბუნები აიღება და მის ადგილზე ახალს ააშენებენ. დიდი ყურადღება დაეთმობა ეკოლოგიის საკითხსაც — სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ყველა მომუშავე სატვირთო ავტომანქანას შეამოწმებენ, რათა მათი ძრავების გამონაბოლქვი დასაშვებ ნორმას არ აღემატებოდეს. ამით ქალაქის ხელმძღვანელობა მოსახლეობის ჯანმრთელობაზეც ზრუნავს. ყურადღება მიექცევა, აგრეთვე, სამშენებლო მასალის ხარისხსაც.

შეგახსენებთ, რომ ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრა გაიმართება 2006 წლის 27 იანვარს ქალაქ მონტრეში.

დამზადებულია საბერძნეთში

აეკ-ის კაპიტანი, ნახევარმცველი კონსტანტინოს კაცურანისი საბერძნეთის 2004-2005 წლების საფეხბურთო სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. ის შედეგიანად თამაშობს მიმდინარე სეზონშიც — 28 ჩატარებულ შეხვედრაში უკვე 10 ბურთი აქვს გატანილი მეტოქეთა კარში.

კაცურანისის გარეშე, საეჭვოა, რომ აეკ-ს ქვეყნის შარშანდელ ჩემპიონატში მესამე ადგილი დაეკავებინა — ამ ფეხბურთელმა მართლაც დიდებულად ჩაატარა შეხვედრათა უმრავლესობა.

2004-2005 წლების სეზონის საბერძნეთის საუკეთესო ფეხბურთელისათვის განკუთვნილი პრიზი კაცურანისს ყოველწლიურ საზეიმო ცერემონიაზე გადასცეს, რომელსაც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია აწყობს ხოლმე.

კაცურანისი გამოკითხვის შედეგების მიხედვით საუკეთესოდ აღიარეს. მან ხმების რაოდენობით გადაუსწრო „ოლიმპიაკოსში" მოთამაშე იეროკლის სტოლტიდისსა და თეოფანიკ გეკასს „პანათინაიკოსიდან". საუკეთესო ლეგიონერად დასახელდა „ქსანთის" ბრაზილიელი ფორვარდი ლუსიანო დე სოუზა, საუკეთესო გოლკიპერის პრიზი მიიღო ანტონის ნიკოპოლიდისმა („ოლიმპიაკოსი"), საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად აღიარეს პანაიოტის ლაგოსი („ირაკლისი"), წლის საუკეთესო გოლად კი პაოკ-ის ფეხბურთელ ეზეკიო გონსალესის მიერ გატანილი ბურთი ლონდონის „არსენალის" კარში.

ინგლისს მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა სურს

ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია აპირებს განაცხადი წარადგინოს ფიფაში მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მასპინძლობაზე. ასოციაციის ხელმძღვანელობამ ამასთან დაკავშირებით, უკვე დაიწყო მოლაპარაკებები დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებასთან. როგორც ქვეყნის სპორტის მინისტრმა რიჩარდ კებორნიმ განაცხადა, ფეხბურთის სამშობლოში, მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებას მხარს უჭერს პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი, თუმცა, საკითხის საბოლოო გადაწყვეტა მომავალი წლის სექტემბერში მოხდება.

ანდრეი შევჩენკო: „ბოლოს და ბოლოს, მიეცით პრიზი მალდინის!"

იტალიური „მილანის" უკრაინელი ფორვარდი ანდრეი შევჩენკო თვლის, რომ წელს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზს იმსახურებს თავისი თანაგუნდელი პაოლო მალდინი.

„ბოლოს და ბოლოს, მიეცით მალდინის პრიზი, ის დიდი კაპიტანია", — ასე მიმართავს შევჩენკო საზოგადოებას.

თვით მალდინი მიიჩნევს, რომ მას ასეთი პრიზი არ დაუმსახურებია.

„სასიამოვნოა ასეთი სიტყვების მოსმენა ანდრეი შევჩენკოსაგან, მაგრამ ვთვლი, რომ ბოლო სეზონი ჩემს კარიერაში საუკეთესო არ იყო. საერთოდ, ასეთი პრიზი ეკუთვნით იმ ფეხბურთელებს, რომლებიც რაიმე ტიტულს იგებენ", — ამბობს მალდინი.

ნბა

კობი ბრაიანტი ბრწყინავს

ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგ შეხვედრაში „ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა" საკუთარ მოედანზე 97:92 დაამარცხა „ნიუ-იორკი". მასპინძელთა წარმატება კობი ბრაიანტის მაღალმა შედეგიანობამ განაპირობა. მან „ლეიკერსს" 42 ქულა შესძინა.

„ფინიქსი" შინ 103:115 დამარცხდა „მემფისთან". მასპინძლებს ვერ უშველა მერიონმა, რომელმაც 23 ქულა მოაგროვა და 11-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

„მემფისის" შემადგენლობაში საუკეთესო იყო სტადამაიერი, რომლის ანგარიშზეა 26 ქულა და 7 შედეგიანი გადაცემა.

„შარლოტამ" როგორც იქნა გამარჯვება იზეიმა — 122:90 დაამარცხა „ინდიანა". „შარლოტას" შემადგენლობაში გაიბრწყინა რაშმა, რომელმაც თავის გუნდს 35 ქულა შესძინა.

დაძაბული და საინტერესო გამოდგა „პორტლენდისა" და „ჩიკაგოს" დაპირისპირება. „პორტლენდმა" მეტოქე სამი ქულის სხვაობით — 96:93 დაამარცხა. გამარჯვებულთა გუნდის წევრმა რენდოლფმა 22 ქულა დააგროვა და 10-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

სხვა შეხვედრები: „გოლდენ სტეიტი" — „მილუოკი" 87:90, „ნიუ ორლეანი" — „დენვერი" 81:91, „ტორონტო" — „ფილადელფია" 115:121, „ბოსტონი" — „სიეტლი" 100:113.

ტურინში „კოკა-კოლას" გაყიდვა აკრძალეს

ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის – ტურინის საბჭომ აკრძალა კომპანია „კოკა-კოლას" პროდუქციის გაყიდვა. ეს გამოწვეულია ბოლოდროინდელი მოვლენებით: ლათინურ ამერიკაში „კოკა-კოლას" მუშების უფლებების დარღვევის გამო მთელი რიგი დემონსტრაციები იმართება. ცნობილია, რომ 2006 წლის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი ძირითადი სპონსორი სწორედ „კოკა-კოლაა". მისი ემბლემა ახატია ოლიმპიური თამაშების ლოგოზე. დემონსტრანტებმა ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტას გზა გადაუკეტეს და მოსთხოვეს ოლიმპიური ლოგოდან გამაგრილებელი სასმელების მწარმოებელი კომპანიის ემბლემის მოხსნა.

მსოფლიო თასზე

26 ნოემბრიდან 17 დეკემბრის ჩათვლით სანტი-მანტოსკში გაიმართება ჭადრაკში მსოფლიო თასის გათამაშება, რომელშიც 128 მოჭადრაკე იასპარეზებს. მათ შორის არიან მაღალი რეიტინგის მქონეები. მაგალითად, ვასილი ივანჩუკი (უკრაინა), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი), ბორის გელფანდი (ისრაელი) და სხვები.

ფიდე 17 ნოემბერს დააწყვილებს შეჯიბრების მონაწილეებს. საპრიზო ფონდი მილიონ 572 ათასი დოლარია.

ქართველი მოჭადრაკეებიდან მსოფლიო თასის გათამაშებაზე იასპარეზებენ ზურაბ აზმაიფარაშვილი, ზვიად იზორია, ბაადურ ჯობავა და ლევან ფანცულაია.

პოდიუმზე ერთმანეთს დაეტაკნენ

15 დეკემბერს დანიშნულია ორთაბრძოლა პროფესიონალ სუპერმძიმეწონოსან მოკრივეებს სულტან იბრაგიმოვსა და ლენს უიტაკერს შორის. გუშინ მათ პრესკონფერენცია მოაწყვეს ჟურნალისტებისათვის, რომლის შემდეგაც დარბაზში, პოდიუმზე ავიდნენ ფოტო და ტელეკამერების წინ პოზირებისათვის. ისინი ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ.

უიტაკერმა პოზირების დროს მუშტი მიიტანა იბრაგიმოვის სახესთან, შემდეგ ამ უკანასკნელმაც იგივე გააკეთა. ეს კი ლენსს არ მოეწონა და მომავალ მეტოქეს მუჯლუგუნი წაჰკრა... ატყდა ჩხუბი და გასაშველებლად ორივე მოკრივის ბანაკის წევრები ჩაერთნენ... ყველაზე მეტად დაზარალდა იბრაგიმოვის მენეჯერი სამპსონ ლევკოვიჩი, რომელმაც ორივე მოკრივისგან ძლიერი დარტყმები მიიღო და გონება დაკარგა.

ადგილზე გამოძახებულმა ექიმებმა მენეჯერი საავადმყოფოში გააქანეს. ლენს უიტაკერმა ხელი დაიზიანა, ამ ფაქტმა კი შეიძლება 15 დეკემბრის ორთაბრძოლა ჩაშალოს.

ისინბაევას მწვრთნელი რუსეთის ნაკრებთან იმუშავებს

ჭოკით ხტომაში მსოფლიოს 18-გზის რეკორდსმენის, ოლიმპიური ჩემპიონის ელენა ისინბაევას მწვრთნელი ევგენი ტროფიმოვი რუსეთის ნაკრების თავკაცად დანიშნეს.

„მე ვესაუბრე რუსეთის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტს ვალენტინ ბალახნიჩევს. მოსაგვარებელი დარჩა მხოლოდ ფორმალური საკითხები და უკვე 1 იანვრიდან შევუდგები ჩემი ახალი მოვალეობის შესრულებას", — განაცხადა ლეგენდარულმა მწვრთნელმა.

ევგენი ტროფიმოვმა ბოლო პერიოდში ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწია ჭოკით მხტომელ ელენა ისინბაევასთან ერთად. ეს უკანასკნელი მოულოდნელად შემოიჭრა სპორტის სამყაროში, დღემდე 23 წლის ჭოკით მხტომელს უკვე მსოფლიოს 18 რეკორდი აქვს დამყარებული... ეს არის სუსტი სქესის წარმომადგენელი, რომელიც თავისუფლად „დაფრინავს" 5 მეტრზე მეტ სიმაღლეზე. ისინბაევას ადარებენ ლეგენდარულ სერგეი ბუბკას. ეს უკრაინელს სულაც არ სწყინს. პირიქით, სიამოვნებით ელის დონეცკის ტურნირზე ელენას გამოჩენას, — ბუბკას სჯერა, რომ ისინბაევა დაამყარებს მორიგ რეკორდს. სხვათა შორის, დონეცკის მძლეოსანთა ტურნირი სწორედ სერგეი ბუბკას სახელობისაა.

ადრე ტროფიმოვი და ისინბაევა ერთად მუშაობდნენ ვოლგოგრადში. მწვრთნელის მთავარი მიზანი სპორტსმენის საერთაშორისო დონეზე მომზადება იყო. მას შემდეგ, რაც ისინბაევამ ათენში გამართულ ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედალი მოიპოვა და რეკორდების დამყარება დაიწყო, ტროფიმოვმა ჩათვალა, რომ რუსეთის ნაკრებთან მუშაობის დროც დადგა. ახლა მას ორი ამოცანა აქვს გადასაჭრელი — მოამზადოს რუსი ჭოკით მხტომელები 2008 წლის ოლიმპიური თამაშებისათვის და... გაუჩინოს კონკურენტები ისინბაევას. ამ უკანასკნელის შედეგებთან მიახლოებას დღეისათვის ვერც ერთი სპორტსმენი ვერ ბედავს.

ისინბაევასათვის კონკურენტების გაჩენა ტროფიმოვს მისი დამარცხებისათვის კი არ სჭირდება, არამედ იმისათვის, რომ ელენას ახალი მიზნები დაუსახოს — როგორც კი ისინბაევა იგრძნობს რომელიმე კონკურენტის მიახლოებას, ის მაშინვე ახალი რეკორდის დამყარებაზე იზრუნებს.

რალიში მსოფლიო ჩემპიონს მართვის მოწმობა ჩამოართვეს

ავტორბოლების სერია „ნასკარ ნექსტელ კაპ"-ში მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი კურტ ბუში სეზონის ბოლომდე ვეღარ იასპარეზებს. ამის მიზეზი ის არის, რომ პილოტი პოლიციამ დააკავა ნასვამ მდგომარეობაში. კურტმა ფინიქსთან (აშშ) ახლოს დასაშვებ სიჩქარეს 15 კილომეტრი საათით გადააჭარბა. როცა სამართალდამცავებმა გააჩერეს, მან უარი განაცხადა, სული ჩაებერა სპეციალურ, მთვრალი მძღოლების გამოსავლენ მილში.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



18 ნოემბერი, პარასკევი

НТВ плюс спорт. „ჰარმონიის ფორმულა" (10.00). კრივი. მსოფლიო ჩემპიონატი ჩინეთში (11.00). ნბა-ს მიმოხილვა (16.50). „ექსიექსზე". გადაცემა ფრენბურთის შესახებ (17.20). ტაილანდური კრივი (17.50). „სპორტული გლობუსი" (18.45). „ნოკაუტი" (19.15). კრივი (20.00). „ყველაფერი რაგბის შესახებ" (22.30). „ბურთი და ფარი" (23.00). ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „ლოს-ანჯელესი" — „ვანკუვერი" (23.45). ჩოგბურთი. „მასტერსის თასი" შანხაიში (2.15). *НТВ плюс online.* ჩოგბურთი. „მასტერსის თასი" (15.00), ჰოკეი. რუსეთის ჩემპიონატი (19.45). ექსტრემალური სპორტი (11.30). ცხენოსნობა. ეროვნებათა თასი. რეპორტაჟი ბუენოს-აირესიდან (12.00). ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (15.00). ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მიმოხილვა (16.00). ძალოსნობა (21.00).

19 ნოემბერი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. მზე. ინგლისის პრემიერლიგის მატჩები (16.45, 19.00). *НТВ плюс спорт.* ამერიკული ფეხბურთი. კვირის მიმოხილვა (10.00). კრივი. მსოფლიო ჩემპიონატი ჩინეთში (11.00). ფიგურული სრიალი. საერთაშორისო შეჯიბრება. გრან პრი საფრანგეთში (16.40). სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპი (20.40). ფიგურული სრიალი (22.45). ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „დეტროიტი" — „სენტ ლუისი" (4.30). *НТВ плюс online.* ცურვა. მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპი ავსტრალიაში (12.30). ჩოგბურთი. „მასტერსის თასი" შანხაიში (15.00). ფეხბურთი. გერმანიის ბუნდესლიგის ჩემპიონატი (20.25). ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. „ვალვაიკი" — პსვ (22.55). ფეხბურთი. ესპანეთის პრიმერადივიზიონი. „რეალი" — „ბარსელონა". პირდაპირი (0.55). EUROSPORT. საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30). ფეხბურთი. საუკეთესო 24 კლუბი (13.00). სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი (13.30). ფეხბურთი. პროგრამა „გოლი" (17.00). სუმო (22.00). საბრძოლო ხელოვნება (23.00). ექსტრემალური სპორტი (2.00). ევროსპორტის ახალი ამბები (2.30).

20 ნოემბერი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. მზე. ინგლისის პრემიერლიგის მატჩი (20.00). **რუსეთის 1-ლი არხი.** პროფესიული კრივი. ჰოპკინსი — ტეილორი (1.10). *НТВ плюс спорт.* კრივი. მსოფლიო ჩემპიონატი ჩინეთში (11.00). სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპი (14.50). ცურვა. მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპი (15.45). ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „დეტროიტი" — „სენტ ლუისი" (18.00). საბრძოლო ხელოვნების ფორუმი (20.15). „დიდი რინგი" (22.30). მაგიდის ჩოგბურთი. „პრო ტური შვედეთში" (0.30). ამერიკული ფეხბურთი (5.30). *НТВ плюс online.* ჩოგბურთი. „მასტერსის თასის" ტურნირი შანხაიში (12.00). სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპი (15.25). ფიგურული სრიალი. გრან პრი საფრანგეთში (18.40). ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი (21.55). ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. „ბორდო" — პსჟ (23.50). EUROSPORT. ავტოსპორტი. „ფორმულა-3". საკონტინენტთაშორისო თასი (11.30). სათხილამურო სპორტი (13.45). ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (17.00). საბრძოლო ხელოვნება (22.00). მოტოსპორტი (0.30). კრივი (1.30). ოლიმპიური თამაშები. მისია — ტურინი (2.30). სუმო (3.15).

კროსვორდი

თარაზულად: 3. სპორტული შედეგის სადემონსტრაციო დაფა, 6. ჩქარი, სწრაფი, ანუ ... 7. ქართველი კალათბურთელი, ოლ. ჩემპიონი, 8. ნბა-ს კლუბი, 10. ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელი, მსოფლიო ჩემპიონი, 11. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 13. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 14 ძიუდოს ტერმინი, 18. რუსთავის საკალათბურთო გუნდის მწვრთნელი, 19. წარსულში პროფესიული კრივის ლეგენდა, არჩი ... 21. ძიუდოს ფუძემდებელი, 22. ლეგენდარული ტრამპლინიდან მხტომელი ჩეხი სპორტსმენი, ოლიმპიური ჩემპიონი (1968), ირჟი ... 23. ცნობილი ბულგარელი ფეხბურთელი.

შვეულად: 1. რბოლა კარტებით, საავტომობილო სპორტის სახეობა, 2. ძიუდოისტის ჩასაცმელი, 3. წარსულში ცნობილი რიგელი ვაჟი მოჭადრაკე, 4. „ფორმულა-1"-ის ლეგენდარული მრბოლი, ალენ ... 5. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან, 9. „ფანტომასად" შერაცხული საფეხბურთო მსაჯი, 12. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი-მეკარე, მს. ჩემპიონი (1958, 1962), 14. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 15. მძლეოსნობაში სახტომი ადგილი, 16. მუზარადი, ანუ ... 16. ფეხბურთში, კუთხურის ჩამოწოდების ადგილის მიმანიშნებელი მცირე ზომის დროშა, 17. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 20. ცნობილი ლიბერიელი ფეხბურთელი.



მოამზადა ნოდარ ჯავახაძემ.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 2. როგი, 8. რბოლა, 10. არდილესი, 11. სტუ- 13. სპი, 15. ვოინოვი, 18. ბორზოვი, 20. ბურე, 21. „ფერარი", 22. გურზი, 23. საპორო, 24. ფილია.

შვეულად: 1. სო, 2. რალი, 3. გო, 4. კარპოვი, 5. კვისტი, 6. კრესპო, 7. „ბაია", 9. ბატისტუტა, 12. ლიბერო, 14. არიგო, 16. ნურმი, 17. „ვერძი", 19. ვიზა.

ტაისონი ნახეს და... იჩხუბეს

ბრიტანეთის ქალაქ დერბიში ერთ-ერთ სასტუმროში გაიმართა საზეიმო ბანკეტი, რომელზედაც მიპატიჟებული იყო მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი პროფესიულ კრივში მაიკ ტაისონი. ბანკეტის დასრულების შემდეგ, როდესაც ტაისონმა დატოვა სასტუმრო, ფოიეში ატყდა მასობრივი ჩხუბი. სასტუმროს ერთმა თანამშრომელმა გამოიძახა პოლიცია, თუმცა, როცა სამართალდამცავები ადგილზე მივიდნენ, სიტუაცია დაწყნარებული დაუხვდათ. იქ მყოფთ სახეზე ეტყობოდათ სერიოზული ჩხუბის კვალი. ერთ-ერთი მოჩხუბარი პოლიციამ დააკავა. საინტერესოა, რომ იქ მყოფთაგან არავის არ სურდა ჩვენების მიცემა სამართალდამცავებისთვის, რომლებმაც საქმის გამოძიება დაიწყეს. დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ ამ ჩხუბის მიზეზი არც ბანკეტის მომწყობი დერბიშირის საგრაფო და არც მაიკ ტაისონი არ ყოფილა. ჩხუბში უბრალო მაყურებლები მონაწილეობდნენ, რომლებმაც სპეციალური ბილეთები შეიძინეს, რათა ენახათ ბანკეტზე მიპატიჟებული ცნობილი ადამიანები.

რას აბრალებენ დივაცს?

სერბიისა და ჩერნოგორიის პროკურატურა აპირებს ოფიციალური ბრალი წაუყენოს სერბიის სახელგანთქმულ კალათბურთელ ვლადე დივაცსს. სამართალდამცავების ცნობით, ნბა-ს კლუბების „ლეიკერსის", „შარლოტასა" და „საკრამენტოს" ყოფილმა ცენტრფორვარდმა, თავის დროზე არ ისურვა ქვეყნის არმიაში სამსახური. ამასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა დივასმა. „ძალიან გამიკვირდა, როცა ეს ამბავი შევიტყვე. თავის დროზე ყველანაირი დოკუმენტი წარვუდგინე სერბიისა და ჩერნოგორიის საელჩოს ამერიკის შეერთებულ შტატებში. აღნიშნული დოკუმენტები სრულიად საკმარისი იყო სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან ჩემი გათავისუფლებისათვის. ვიმედოვნებ, რომ სიტუაცია უახლოეს დღეებში გაირკვევა.

საჭადრაკო ამოცანა

ა. დომბროვსკისი
„პრობლემბლადი"
(1958 წ.)



შამათი 2 სვლაში

№89-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1. ეa1!!
1. ...... მფe2 2. ლd1+! მფ:d1 3. კd3X,
1. ...... მფg2 2. ლh1+ მფ:h1 3. კe4X,

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე